

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო  
უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი

**ნუცა ცინარიძე**

**ინტერაქტიული პრეზენტაცია, როგორც სასწავლო მეთოდი**

განათლების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი ხათუნა ხალვაში  
განათლების აკადემიური დოქტორი

ბიჭაური  
2021

## ანოტაცია

წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის განათლების მაგისტრანტ ნუცა ცინარიძის ნაშრომში „პრეზენტაცია, როგორც სასწავლო მეთოდი, აღნიშნულია, რომ სასწავლო პროცესის ეფექტიანობისთვის, მოსწავლეთა გასააქტიურებლად და სწავლების ხარისხის ასამაღლებლად ძალიან მნიშვნელოვანია თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემაში ინტერაქტიული პრეზენტაციის შექმნა და გამოყენება. სწავლების სხვადასხვა ეტაპზე მასწავლებელს სჭირდება გასცდეს სახელმძღვანელოს ჩარჩოებს, შექმნას სწავლების განსხვავებული სტილი, შექმნას სასწავლო რესურსი და დანერგოს თანამედროვე სტილი.

თემის მიზანია მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და სწავლების ხარისხის ასამაღლებლად ინტერაქტიული პრეზენტაციის, როგორც სასწავლო მეთოდის, შექმნის ეფექტიანი ონლაინპლატფორმების შერჩევა, რეკომენდაციების შეთავაზება ონლაინპრეზენტაციის გამოსაყენებლად.

კვლევის ამოცანების შესაბამისად შერჩეული კვლევის მეთოდები განაპირობებს მიღებული შედეგების სანდოობას.

კვლევის მეცნიერული სიახლეა სწავლების ხარისხის ამაღლებისათვის ინტერაქტიული პრეზენტაციის შექმნისა და გამოყენების მნიშვნელობის დასაბუთება და რეკომენდაციების შეთავაზება დასახელებული მეთოდის გამოსაყენებლად.

სამაგისტრო ნაშრომის კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს განათლების ექსპერტთა მიერ წარმოდგენილი მასალები, ნაშრომები, სახელმწიფო უწყების ოფიციალური მონაცემები.

მასალები წარმოდგენილია რეკომენდაციების, ნიმუშების სახით, რაც ამაღლებს მის პრაქტიკულად გამოყენების შესაძლებლობას.

ნაშრომის გამოყენება შეუძლია მასწავლებლებს, განათლების ბაკალავრიატის, მასწავლებლის პროგრამის სტუდენტებსა და ლექტორებს.

ნაშრომი შედგება 2 თავის, 9 პარაგრაფის, კვლევის, დასკვნებისა და ლიტერატურის დასახელებისაგან.

## სარჩევი

შესავალი .....	3
<b>თავი I. პრეზენტაცია - ეფექტური სასწავლო აქტივობა.....</b>	<b>7</b>
§1. რა არის ინტერაქტიული პრეზენტაცია .....	7
§2. როგორ მოვამზადოთ კარგი პრეზენტაცია.....	10
§3. პრეზენტაცია, როგორც ამბავი .....	17
§4. პრეზენტაციის შეფასების ფორმები .....	19
<b>თავი II. ონლაინპროგრამები ინტერაქტიული პრეზენტაციის შესაქმნელად .....</b>	<b>21</b>
§1. ონლაინპრეზენტაცია .....	21
§2. ინტერაქტიური ვიდეო .....	36
§3. ანიმაციური ფილმი.....	41
§4. კომიქსის შექმნა .....	45
§5. კვლევა - მონაცემთა ანალიზი.....	49
დასკვნები და რეკომენდაციები.....	52
გამოყენებული ლიტერატურა: .....	56

## შესავალი

**თემის აქტუალობა.** 21-ე საუკუნეში ციფრული ტექნოლოგიების განვითარება ახალ მოთხოვნებს აყენებს ყველა დარგისა და თითოეული სპეციალისტის წინაშე, რამაც განაპირობა უწყვეტი პედაგოგიური განათლების აუცილებლობა. განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს სწავლების პროცესის დაგეგმვისას

თანამედროვე მიდგომები და სწორი ორგანიზება. სასკოლო განათლების სისტემის განვითარების ღონისძიებებში ცენტრალური ადგილი უკავია პედაგოგის პროფესიულ მომზადებასა და მის შესაბამისობას თანამედროვე მოთხოვნილებასთან. მასწავლებლის პროფესიულ განვითარებაში უმნიშვნელოვანესია სასწავლო რესურსის შექმნა და მისი აქტიური გამოყენება საგაკვეთილო პროცესში.

საგანმანათლებლო ინოვაციების დანერგვა სწავლების პრიორიტეტია მთელ მსოფლიოში. სასწავლო პროცესში მნიშვნელოვანია მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება, საგანმანათლებლო რესურსის გამოყენება კი შეიძლება ითქვას ფუნდამენტურ მნიშვნელობას იძენს ამ მხრივ. სწორად შერჩეული რესურსები საფუძველია გაკვეთილის ეფექტურობისა და სწავლების ხარისხის ასამაღლებლად. სასწავლო პროცესში აუცილებელია მრავალფეროვანი რესურსის შექმნა და გამოყენება, როგორც მასწავლებლის, ასევე მოსწავლეთა მხრიდან.

დღეს ყველა პედაგოგი ერთხმად თანხმდება, რომ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესში მნიშვნელოვანია, თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ მის გამოყენებასაც ახლავს პრობლემები, რომელიც უკავშირდება პედაგოგების მხრიდან დროის დეფიციტს, სათანადო ტექნიკის არამობილურობას. ამასთანავე პედაგოგთა ნაწილი არაა დაუფლებული სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიებს, უჭირს საგაკვეთილო რესურსის შექმნა. ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად საჭიროა მასწავლებელთათვის შესაბამისი ტრენინგკურსები, ყველა სკოლას ჰქონდეს ინტერნეტთან წვდომის საშუალება, ყველა მასწავლებელსა და მოსწავლეს ჰქონდეს საკუთარი კომპიუტერი, რომელსაც საჭირო დროს და სასურველი მიზნით გამოიყენებს, სასურველია სკოლის ყველა კლასი პროექტორითა და ინტერნეტით იყოს აღჭურვილი.

სწავლების სხვადასხვა ეტაპზე მასწავლებელს ესაჭიროება გასცდეს სახელმძღვანელოს ჩარჩოებს და შექმნას სწავლების განსხვავებული სტილი, შექმნას სასწავლო რესურსი და დანერგოს ინოვაციური მეთოდი.

აღსანიშნავია, რომ დღეს რესურსის შექმნა დიდ პრობლემას აღარ წარმოადგენს, ვინაიდან თანამედროვე ტექნოლოგიები და შესაბამისი ონლაინპლატფორმები უამრავ შესაძლებლობას გაძლევთ მცირე დროში შექმნათ შთამბეჭდავი და ეფექტური რესურსი.

მასწავლებლის არჩევანზე და მოკიდებული სწავლებისას თუ რომელ რესურსს მიანიჭებს უპირატესობას. რა თქმა უნდა, მასწავლებლის მიერ არჩეული რესურსი უნდა შეესაბამებოდეს თემას, მორგებული უნდა იყოს მოსწავლის ინტერესებსა და შესაძლებლობებზე. ამ მხრივ მასწავლებლები სასწავლო პროცესში იყენებენ ინტერაქტიული პრეზენტაციის, რომელიც დიდი ეფექტურობით გამოირჩევა.

**თემის მიზანი.** მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და სწავლების ხარისხის ასამაღლებლად ინტერაქტიული პრეზენტაციის, როგორც სასწავლო მეთოდის, შექმნის ეფექტიანი ონლაინპლატფორმების შერჩევა, რეკომენდაციების შეთავაზება ონლაინპრეზენტაციის გამოსაყენებლად.

**ამოცანები:** ინფორმაციის მოპოვება სხვადასხვა წყაროების მეშვეობით; მოპოვებული ინფორმაციის დახარისხება და ანალიზი; ზოგადი სურათის წარმოჩენა; სწავლების ხარისხის ამაღლებისათვის სასწავლო რესურსის შექმნისა და გამოყენების მნიშვნელობის დასაბუთება, ონლაინპლატფორმების შერჩევა-შეთავაზება.

**კვლევის მეთოდები.** წყაროების ანალიზი, ინტერნეტრესურსების დახარისხება-გამოყენება, კითხვარი.

**კვლევის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.** უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, ელექტრონული ბიბლიოთეკა, ინტერნეტი, საჯარო სკოლები.

**კვლევის მეცნიერული სიახლე.** სწავლების ხარისხის ამაღლებისათვის ინტერაქტიული ონლაინპრეზენტაციის შექმნისა და გამოყენების მნიშვნელობის დასაბუთება. რეკომენდაციების შეთავაზება დასახელებული მეთოდის გამოსაყენებლად.

**თეორიული მნიშვნელობა.** გაანალიზდა ინტერაქტიული პრეზენტაციის შექმნის უახლესი პროგრამები, კვლევის შედეგი და მომზადდა შესაბამისი დასკვნები და რეკომენდაციები.

**კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა.** მასალები წარმოდგენილია რეკომენდაციების, ნიმუშების სახით, რაც ამაღლებს მის პრაქტიკულად გამოყენების შესაძლებლობას.

**კვლევის შედეგების პერსპექტიული გამოყენების სფეროს წარმოადგენს:** მასწავლებლებს, ბაკალავრიატის, მასწავლებლის პროგრამის სტუდენტებს, ლექტორებს, კერძოდ: კვლევის შედეგები დაეხმარება მასწავლებლებს სწავლა-

სწავლების ხარისხის ამაღლებაში, საგაკვეთილო პროცესის ეფექტიან დაგეგმვაში და მრავალფეროვანი რესურსის შექმნაში.

**ნაშრომის სტრუქტურა.** ნაშრომი შედგება შესავლის, 2 თავის, 9 პარაგრაფის, კვლევის, დასკვნისა და ლიტერატურის დასახელებისაგან. პირველ თავში „პრეზენტაცია - სასწავლო აქტივობა,, განხილულია თუ რა არის პრეზენტაცია, რა ეტაპების გავლაა საჭირო ეფექტური პრეზენტაციის მოსამზადებლად, როგორ ფასდება იგი და რა როლი ენიჭება მის გამოყენებას საგაკვეთილო პროცესში. პირველ პარაგრაფში „რა არის ინტერაქტიული პრეზენტაცია,, განმარტებულია თუ რა არის პრეზენტაცია, ძველად როგორი საშუალებები არსებობდა პრეზენტაციის მომზადების და ახლა რა სიახლეებს გვთავაზობს თანამედროვე ტექნოლოგიები, როგორ გახადოთ პრეზენტაცია ინტერაქტიული.

მეორე პარაგრაფში „როგორ მოვამზადოთ კარგი პრეზენტაცია,, საუბარია იმაზე თუ რა ეტაპებისაგან შედგება პრეზენტაცია, რაზე უნდა გაამახვილოთ ყურადღება მისი მომზადების პროცესში, რა კრიტერიუმების დაცვაა აუცილებელი, რომ თქვენ მიერ მომზადებული პრეზენტაცია იყოს ეფექტიანი, როგორ უნდა წარადგინოს აუდიტორიის წინაშე მომხსენებელმა თავისი პრეზენტაცია და რაზე უნდა გაამახვილოს ყურადღება პრეზენტაციის მიმდინარეობისას.

მესამე პარაგრაფში „პრეზენტაცია როგორც ამბავი,, აღწერილია ბოლო დროს ცნობილი ამბის თხრობის (story telling) მეთოდი, მისი როლი და მნიშვნელობა სასწავლო პროცესში, ასევე მის შესაქმნელად ეფექტური პლატფორმა და მასში შექმნილი რესურსიც.

მეოთხე პარაგრაფში „პრეზენტაციის შეფასების ფორმები,, წარმოდგენილია პრეზენტაციის შეფასების ფორმები, როგორც რადიციული ასევე ესგ-ის მიერ შემუშავებული პრეზენტაციის შეფასების რუბრიკა, რომელშიც გაწერილია თითოეული კრიტერიუმი და ქულა.

მეორე თავში „ონლაინპროგრამები ინტერაქტიული პრეზენტაციის შესაქმნელად,, განხილულია ინტერაქტიული პრეზენტაციის სხვადასხვა სახე: საკუთრივ პრეზენტაცია, ინტერაქტიული ვიდეო, ანიმაციური ფილმი, კომიქსი და მათ შესაქმნელად უამრავი ონლაინპლატფორმა.

პირველ პარაგრაფში „ონლაინპრეზენტაცია,, განხილულია ონლაინპრეზენტაციის მნიშვნელობის როლი სასწავლო პროცესში და თანამედროვე ონლაინპლატფორმები ხარისხიანი ონლაინპრეზენტაციის შესაქმნელად.

მეორე პარაგრაფში „ინტერაქციული ვიდეო,, საუბარია იმაზე, თუ გაკვეთილს რამდენად ეფექტურსა და საინტერესოს ხდის ინტერაქციული ვიდეოების გამოყენება და აღწერილია ინტერაქციული ვიდეოს შესაქმნელი ონლაინპლატფორმები, ასევე წარმოდგენილია პლატფორმებში მომზადებული რესურსები.

მესამე პარაგრაფში „ანიმაციური ფილმი,, საუბარია იმაზე, თუ ამდენად სიღრმისეულად ამახსოვრდება მოსწავლეს ანიმაციური ფილმებით მიწოდებული ინფორმაცია და როგორ ეხმარება თემის ვიზუალიზაციაში. აღწერილია ონლაინპლატფორმები ანიმაციური ვიდეოების შესაქმნელად.

მეოთხე პარაგრაფში „კომიქსის შექმნა,, საუბარია კომიქსის მეშვეობით მოსწავლეთა მხირად გაკვეთილების ხალისით მომზადებაზე და ჩართულობაზე. აღწერილია კომიქსის შესაქმნელი ონლაინპლატფორმები.

ბოლოს კი მოცემულია ის დასკვნები და რეკომენდაციები, რომლებიც მნიშვნელოვანია სწავლების ხარისხის ასამაღლებლად და პრეზენტაციის, როგორც სასწავლო მეთოდის შესაქმნელად. დასკვნები გაკეთებულია არსებული ინფორმაციისა და ჩატარებული კვლევის საფუძველზე და მოიცავს ყველა იმ საკითხსა და პრობლემას, რომელზეც საუბარი არის აღნიშნულ ნაშრომში და ზოგადად არსებობს ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში.

## **თავი I. პრეზენტაცია - ეფექტური სასწავლო აქტივობა**

### **§1. რა არის ინტერაქციული პრეზენტაცია**

პრეზენტაცია (presentation) ლათინური სიტყვაა და ნიშნავს წარმოდგენას, ხოლო ქართულად განიმარტება, როგორც რაიმეს ჩვენება (სპექტაკლი), რომელიც წარმოადგენს თემის აუდიტორიისთვის გაცნობის პროცესს. ეს იქნება დემონსტრაცია, ლექცია, სიტყვით გამოსვლა თუ შესავალი, რომელიც მიზნად ისახავს ინფორმირებას, დარწმუნებას, ახალი იდეის წარმოჩენას, მოტივაციას ან კეთილი ნების ჩამოყალიბებას, შთაგონებას, ინფორმაციის ვიზუალურ აღქმასა და გააზრებას, ცოდნის წარმოჩენასა და შეფასებას. ეს არის ერთგვარად გონების

მეშვეობით წარმოსახვის, შეხედულების შექმნა. ნებისმიერი სახის პრეზენტაცია წარმოადგენს მცდელობას, შეუქმნას მსმენელებს დადებითი წარმოდგენა (ან შეიძლება უარყოფითიც) პრეზენტაციის საგნის მიმართ.

ძალზეც საინტერესოა, თუ როგორი პრეზენტაციები არსებობდა დღემდე და რა საშუალებებით იღებდა ადამიანები წარმოდგენილ ინფორმაციას. საზოგადოება უმეტესად ეთანხმებოდა და უსმენდა პირობითად ძველი სტილით წარმოდგენილ პრეზენტაციებს, რომლებიც უმეტესწილად მონოლოგს წარმოადგენდა. ისინი აწვდიდნენ ინფორმაციას, თუმცა აუდიტორიასთან ურთიერთქმედება არ ხორციელდებოდა.

საგანმანათლებლო დაწესებულებები, სკოლები აღჭურვილი იყო სხვადასხვა თვალსაჩინოებითა და საპროექციო აპარატურით, როგორებიცაა: კინო, კოდოსკოპი, ეპიდიასკოპი, გრაფოპროექტორი, დიდი ფორმატის პლაკატები და სხვა. ფილმოთეკა მოიცავდა სასწავლო ფილმების ფერად და შავ-თეთრ ფირს, დიაფილმებს.

**კადოსკოპი-** ოპტიკური ხელსაწყოა, რომელიც გამოიყენება ფირის გასაშუქებლად და გამოსახულების ეკრანზე გამოსატანად. მას წინასწარ მომზადება არ სჭირდება, მისი აგებულება ხელსაყრელია პრეზენტაციისა და სლაიდშოუს მოსაწყობად პატარა აუდიტორიაში. კადოსკოპი ხშირად გამოიყენებოდა სასწავლო დაწესებულებაში, თანამედროვე ციფრული პრეზენტაციებით ჩანაცვლებამდე. მისი სიმარტივისა და პრაქტიკულობის გამო მას დღემდე იყენებენ ზოგიერთ დაწესებულებაში. მისი გამოყენება მოსახერხებელია ლექტორ-მასწავლებლებისთვის მართვის სიმარტივის გამო. კადოსკოპის გამოყენებისას შესაძლებელია უწყვეტი დემონსტრირება აუდიტორიასთან ზურგშექცევის გარეშე. ეკრანზე გამოტანა შეიძლება ტექსტის, ნახატების, გრაფიკული ნამუშევრების, ამავდროულად მზა ფირზე შესაძლებელია წარწერების, ნახატების დატანება, შემდეგ მათი წაშლაც. ეს ინტერაქტიულს ხდის პრეზენტაციას. კადოსკოპი ხელს უწყობს სამიზნე ჯგუფის ჩართულობასა და მრავალმხრივი უნარების განვითარებას.

კადოსკოპების გარდა დიაპროექციისათვის აქტიურად გამოიყენება ანალოგიური ხელსაწყოები



**ეპიდემიოლოგი-ობიექტი-** ოპტიკური ხელსაწყოა, რომელიც საშუალებას იძლევა, როგორც გამჭვირვალე ობიექტის ისე გაუმჭვირი საგნის მაგ. ნახატის, ნახაზის, ფოტოსურათის და მისთანა გამოსახულების ეკრანზე გამოტანას.

**გრაფოპროექტორი-** ხელსაწყოა, რომელსაც სტატიკური გამოსახულება გამჭვირვალე ფირიდან გადააქვს დიდ ეკრანზე. გამოსახულება ასრულებს სასწავლო რესურსის როლს და შეიძლება შესრულებული იყოს კომპიუტერში, ასლის გადამღებ აპარატზე ან ფლომასტერით.

**პლაკატები-** დიდი ფორმატის ქაღალდზე დაბეჭდილი მიმზიდველი სურათია მოკლე ტექსტით, შექმნილი პროპაგანდისტული, სარეკლამო ან საგანმანათლებლო მიზნებისთვის. იგი განკუთვნილია კედელზე გასაკრავად.

ძველად საკლასო ოთახებში თეთრთან ერთად შავი ფარდებიც იყო ჩამოკიდებული. მას საგანგებოდ დიაფილმის ჩვენებისათვის იყენებდნენ. მასწავლებელი ამ საშუალებას ჩამოაფარებდა, შუქს ჩააქრობდა, დაფაზე თეთრ ქაღალდს გააკრავდა და ბავშვებისათვის საინტერესო გაკვეთილი იწყებოდა.

**დიაფილმი-** არის ფირზე გადაღებული კომიქსი, რომელსაც ქონდა საგანმანათლებლო დატვირთვა სკოლებში. მაშინ როდესაც არ არსებობდა კომპიუტერი.

დღეს XXI საუკუნეში ინფორმაციული ტექნოლოგიები იძლევა საშუალებას, რომ მასწავლებელმა მათი გამოყენებით შეძლოს საკუთარი უნარების წარმოჩენა სასწავლო პროცესში და ჩაატაროს ინტერაქტიული გაკვეთილები, ხოლო მოსწავლეებმა წარმოაჩინონ ცოდნა და გამოუმუშავდეთ აუდიტორიასთან ურთიერთობის უნარები. ინტერნეტ სივრცეში მუშაობის გამოცდილებასთან ერთად მნიშვნელოვან ადგილს იკავებს პრეზენტაციის შექმნის უნარები, რომლებიც სწავლების ვიზუალიზაციის საშუალებაა.

ბოლო პერიოდში აქტუალურ საკითხს წარმოადგეს ინტერაქტიული სწავლება, გამოიყენება სხვადასხვა სასწავლო რესურსთან ერთად ინტერაქტიულ პრეზენტაცია. ინტერაქტიული პრეზენტაცია ეს არის ორმხრივი საუბარი წამყვანსა (პრეზენტატორსა) და აუდიტორიას შორის. მომხსენებელსა და აუდიტორიას შორის ურთიერთქმედებით აუდიტორია ხდება პრეზენტაციის ნაწილი. ურთიერთქმედების მეშვეობით აუდიტორიას უჩნდება ჩართულობის გრძნობა და უსმენს მომხსენებლის

მოსაზრებებს, შესაბამისად ქვეცნობიერად უფრო მეტად იმახსოვრებენ წარმოჩენილ იდეებს. ინტერაქციის მეშვეობით აუდიტორია უფრო მეტად ფოკუსირდება პრეზენტაციის დროს და უფრო დიდხანს ამახსოვრდება ინფორმაცია, ვიდრე უბრალოდ მოსმენისას. ინტერაქტიული პრეზენტაცია აერთიანებს მულტიმედიურ ფუნქციებს და საშუალებას იძლევა სურათების, ვიდეოების, ტექსტების ერთ პრეზენტაციაში ინტეგრირებისა. ეს ეფექტური საშუალებაა მონაცემების ვიზუალურად აღსაქმელად.

იმისათვის, რომ გავიგოთ პრეზენტაცია არის თუ არა ინტერაქტიული, ყურადღება უნდა გავამახვილოთ შემდეგ საკითხებზე:

- შინაარსობრივად და ლოგიკურად მორგებული აუდიტორიისთვის;
- ვიზუალური მასალის გამოყენების ოპტიმიზაცია;
- კითხვები აუდიტორიისთვის;
- დროის გამოყოფა აუდიტორიისთვის, რათა შეძლონ გამოთქვან აზრი კითხვაზე-პასუხისა და დისკუსიის საშუალებით;
- თამაშები, რომლებიც ემყარება ინტერაქტიულ თემებს;
- პირადი ისტორიების ჩართვა.

რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ ნაწილია იმ საკითხებისა, რასაც ინტერაქტიული პრეზენტაცია უნდა მოიცავდეს.

## §2. როგორ მოვამზადოთ კარგი პრეზენტაცია

ეფექტური პრეზენტაცია, რომ მოვამზადოთ უპირველეს ყოვლისა დაგეგმილი უნდა გვქონდეს, თუ რა თემაზე ვაკეთებთ პრეზენტაციას და გათვალისწინებული უნდა გვყავდეს ის აუდიტორიაც, ვის წინაშეც უნდა მოხდეს პრეზენტაცია. არსებობს აუდიტორიის დაყოფის რამდენიმე გზა: კოლეგები, რომელთაც ვაცნობთ სიახლეებს და ვუზიარებთ გამოცდილებას, მოსწავლეები, რომლებიც მოტივირებულნი არიან ისწავლონ ჩვენგან და ასევე ვალდებულებიც მოგვისმინონ, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს,

რომ უინტერესო პრეზენტაციას მოისმენენ. აქედან გამომდინარე, ყველა სხვადასხვა ინტერესითა და მოტივაციით ხასიათდება, ამიტომ პრეზენტაცია უნდა მოვარგოთ მათ ინტერესებსაც. უნდა გადავავლოთ თვალი თემის აქტუალურ საკითხებს და ჩამოვწეროთ თეზისებად რის მიტანა, გაცნობა და გაზიარება გვსურს აუდიტორიისთვის და რით დავაინტერესებთ მათ. პრეზენტაციის როგორც თემა, ასევე მიზანი მსმენელთა აუდიტორიას უნდა მიესადაგებოდეს. მიზნის განსაზღვრა წინაპირობაა იმისა, რომ პრეზენტაციის დროს ვიყოთ მაქსიმალურად კონკრეტულნი. მიზნის ფორმულირების შემდეგ კი, უნდა განვსაზღვროთ, რა გზით შეიძლება სასურველ შედეგს მივაღწიოთ. ე.ი. განვსაზღვროთ პრეზენტაციის შინაარსი.

შინაარსზე მუშაობის პროცესი შემდეგ საფეხურებად შეიძლება დავყოთ:

- საპრეზენტაციო თემაზე ინფორმაციის შეგროვება;
- შეგროვებული ინფორმაციიდან იმ ინფორმაციის ამოღება და გაანალიზება, რომელიც მიზნის მიღწევაში დაგვეხმარება;
- გადარჩეული და გაანალიზებული ინფორმაციის სათანადო თანმიმდევრობით დალაგება;
- ტექნიკური საშუალებების ფლობა.

ყველა ამ საფეხურის გათვალისწინებით უნდა ვეცადოთ, რომ ჩვენი პრეზენტაცია იყოს საინტერესო, ლაკონიური, ინფორმაციული, აქტუალური და აუცილებლად ინტერაქტიული.

წარმოიდგინეთ, რომ თქვენ ერთ-ერთი მსმენელი ხართ, პრეზენტაციის შექმნამდე დაუსვით თქვენს თავს შეკითხვები: რაში დამეხმარება ეს პრეზენტაცია? რატომ უნდა მოვისმინო ან ვნახო? რას გავიგებ ახალს? მიღებული ინფორმაცია გამომადგება თუ არა, რომ დავგეგმო საინტერესო გაკვეთილი?

თემისა და მიზნის განსაზღვრის შემდეგ ხდება უშუალოდ პრეზენტაციის სტრუქტურული ელემენტების განხილვა, მისი მომზადება და ბოლოს აუდიტორიისთვის წარდგენა.

კარგი პრეზენტაციით ჩვენ უნდა მივიღოთ კარგი სტრუქტურირებული ინფორმაცია, რომელიც დასაწყისიდან დასასრულამდე იქნება ინტერესის აღმძვრელი.

პრეზენტაციის სტრუქტურული ელემენტებია:

**1.შესავალი:** მისაღმება და საკუთარი თავის წარდგენა; საპრეზენტაციო თემისა და მიზნის გაცნობა; პრეზენტაციის სტრუქტურის გაცნობა; საპრეზენტაციო თემისადმი საკუთარი მიდგომის წარდგენა.

**2.ძირითადი ნაწილი:** ძირითადი საკითხის გაშლა, გაანალიზება და საკუთარი შეხედულების არგუმენტირებული დასაბუთება.

**3. დასკვნა:** მნიშვნელოვანი ინფორმაციის შეჯამება; პრეზენტაციის მომზადების პროცესში წარდგენილი ძირითადი ლიტერატურის წარდგენა; აუდიტორიის გამოწვევა ქმედებისა და განსჯისკენ; მსმენელთა აუდიტორიისათვის და ყველა იმ პირთათვის ვინც პრეზენტაციის მომზადებაში დაგვეხმარა, მადლობის გადახდა.

ჩვენი პრეზენტაცია, რომ იყოს შთამბეჭდავი, უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი რეკომენდაციები:

- სლაიდების გაფორმება უნდა გამოიყენებოდეს ინფორმაციის გასამყარებლად;
- თუ სხვა წყაროდან იღებთ მასალებს აუცილებლად მიუთითეთ;
- სლაიდზე ტექსტი და ფონი უნდა იყოს კონტრასტული, რათა გამოჩნდეს მასალა;
- თუ აირჩევთ მუქი ფერის სლაიდს, აუცილებლად დაწერეთ ტექსტი ღია ფერში;
- სლაიდებზე ეცადეთ არ დაწეროთ ბევრი ტექსტი, მასალა უნდა იყოს წარმოდგენილი ლაკონურად ან თეზისების სახით;
- სათაური, ტექსტის შრიფტის, ზომა და ფერი უმჯობესია განსხვავდებოდეს;
- მთავრული შრიფტი გამოიყენეთ მხოლოდ სათაურში;

ხშირად ადამიანები ფიქრობენ, რომ მთავარია ლამაზად გქონდეს პრეზენტაცია გაფორმებული და დანარჩენი მოგვარებადია. ეს დამოკიდებულება არასწორია, რადგან, თუ თქვენ ვერ შეძლებთ პრეზენტაციის მიტანას მსმენელამდე, ვერანაირი დიაგრამა, ან ლამაზი ფორმატი ვერ გიშველით, თუმცა ეს არ გამოორიცხავს გაფორმებისა და თვალსაჩინოების მნიშვნელობას პრეზენტაციისათვის. თვალსაჩინოებისათვის შეგვიძლიათ გამოიყენოთ ქაღალდები, ნახაზები დიაგრამების სახით, თუმცა თანამედროვე ტექნოლოგიები ბევრად გვიმარტივებს

საქმეს. რესურსების სწორი ჩართვა მოხსენებას ეფექტურს ხდის და მსმენელებს ინფორმაციის აღქმას უადვილებს. გაუაზრებლად ჩართულმა ვიზუალიზაციამ შეიძლება კარგი პრეზენტაცია დაანგროს. ვიზუალიზაციის სხვადასხვა ფორმით წარმოდგენილი მონაცვლეობა პრეზენტაციას აცოცხლებს. კარგი იქნება, თუ დამატებით რესურსად გამოვიყენებთ ჰენდაუტებს (დასარიგებელი, საკითხავი მასალა). ეს მსმენელს დაეხმარება ძირითადი ინფორმაციის მოგვიანებით გაცნობაში, მაგრამ მას აქვს სუსტი მხარეც - შეიძლება მსმენელი პრეზენტაციის მომენტში გაერთოს მისი კითხვით და პასიურ მსმენელად იქცეს. ამიტომ სასურველია პრეზენტატორმა ჰენდაუტები პრეზენტაციის ბოლოს დაარიგოს. მნიშვნელოვანია თვალსაჩინოება იყოს აუდიტორიისათვის ადვილად აღსაქმელი, წარმოდგენილი პოსტულატების სახით, რომელსაც პრეზენტატორი საუბრისას ახსნის. ისევე, როგორც სახლისთვის სახურავი, პრეზენტაციისთვის აუცილებელია კარგად შერჩეული ვიზუალიზაცია. მაგრამ სახურავი (ვიზუალიზაცია), ფუნდამენტის (შინაარსის) და კედლების (სტრუქტურის) გარეშე უსარგებლოა.

იმისათვის, რომ, ზოგადად, გავხდეთ კარგი პრეზენტატორები და გავაკეთოთ კონკრეტული პრეზენტაცია კარგად, საჭიროა პრეზენტატორმა ივარჯიშოს სარკის წინ რთული სიტყვებისა და წინადადებების გამოთქმაზე. ასევე მთავარია (ე.წ. eyes contact) მხედველობითი კონტაქტი აუდიტორიასთან, ჟესტიკულაციის მართვა და სხვა მრავალი ნიუანსის გათვალისწინება. მნიშვნელოვანია, თემა არ იყოს მშრალი და მხოლოდ თეორიულ მასალაზე დაფუძნებული. ის უნდა შეივსოს მაგალითებით, რა თემა უნდა, თემასთან კავშირში უნდა იყოს. სწორედ საინტერესო მაგალითები იძლევა საშუალებას აუდიტორიამ კარგად აღიქვას მოსმენილი და დიდხანს დარჩეს იგი მეხსიერებაში. შეიძლება პრეზენტაცია დავიწყოთ და დავასრულოთ რაიმე სახალისო ისტორიით, რომელსაც, ბუნებრივია, საპრეზენტაციო თემასთან ექნება კავშირი. მცირე პაუზები გააკეთეთ ერთი საკითხიდან მეორეზე გადასვლის წინ, შეგიძლიათ დაუსვათ შეკითხვები ოდნავ მიძინებულ აუდიტორიას. ასეთ შემთხვევაში ეცადეთ გააქტიუროთ თქვენი მსმენელი და მორიდების გარეშე დაუსვათ შეკითხვები.

პრეზენტაციის მომზადების შრომატევადობის მიუხედავად, ყველაზე მნიშვნელოვანია პრეზენტაციის წარდგენა. ამისათვის ბევრი ნიუანსის გათვალისწინებაა აუცილებელი:

➤ პრეზენტაციის თემაზე წინასწარ ჩაატარე კვლევა;

სრულფასოვანი პრეზენტაციისათვის აუცილებელი არის თემის წინასწარ დამუშავება. პრეზენტატორმა უნდა იცოდეს, რის შესახებ საუბრობს. არ არის აუცილებელი, გახდეთ ექსპერტი ან წაიკითხო ყველა წიგნი ამ თემაზე, მაგრამ უნდა შეგეძლოს დამატებით კითხვებზე პასუხის გაცემა. დარწმუნდი, რომ გამოყენებული წყაროები სანდოა. თუ პრეზენტაციაში მოყვანილი ფაქტი არ დადასტურდა, ეს თვითდაჯერებულობას შეარყევს, ამიტომ ბოლომდე ნუ ენდობი ინტერნეტს და ფაქტები რამდენიმე წყაროსთან გადაამოწმე.

➤ პრეზენტაციამდე აუცილებლად გაიარე რეპეტიცია;

პრეზენტაციის პროცესში გამომსვლელს აუცილებლად შეატყობთ, აქვს თუ არა ნავარჯიშევი საბოლოო პრეზენტაციამდე. აუცილებლად იმუშავე იმაზე, თუ რას და როგორ იტყვი გამოსვლის დროს. წარუდგინეთ თქვენი პრეზენტაცია ოჯახის წევრებს და ბოლოს სთხოვეთ მათ, რომ შეგაფასოთ. ასევე გამოცდილი და ეფექტური ხერხია სარკის წინ ვარჯიში.

➤ იყავით კრიტიკული და მომთხოვნი საკუთარი თავის მიმართ.

გააკრიტიკეთ თქვენი გამოსვლა. იმუშავეთ იმ დეტალებზე, რაზეც ფიქრობთ უკეთესად გამოგივათ, საბოლოოდ, პრეზენტაციის ჩატარების დროს, თავს უფრო დარწმუნებულად იგრძნობთ.

➤ გახადეთ პრეზენტაცია მაქსიმალურად ინტერაქტიული და კრეატიული.

ამისათვის პრეზენტაციაში შეიტანეთ სახალისო ფაქტები, ცნობილი გამონათქვამები, დაუსვით კითხვები აუდიტორიას და შეიტანეთ სხვა ინტერაქტიული აქტივობები.

➤ მონიშნეთ ბარათზე ძირითადი თემები და საკითხები.

ნუ დაიჭერთ პრეზენტაციის დროს ფურცლებს ხელში. ბარათებზე მონიშნეთ პრეზენტაციის ძირითადი თემები, დეტალების გარეშე. ძირითადი საკვანძო სიტყვების ჩანიშვნა დაგეხმარებათ მარტივად გაიხსენოთ ის, თუ რის თქმა გსურთ პრეზენტაციაში.

➤ გაილიმე პრეზენტაციის მიმდინარეობისას.

იყავი ბედნიერი, რადგან აუდიტორიას უნდა წარუდგინო ის საკითხები, რაც მათ არ იციან. კვლევები ადასტურებს, რომ ღიმილი გადამდებია. თუ გსურთ, რომ პრეზენტაციამ წარმატებით ჩაიაროს - გაილიმეთ.

➤ იქონიე მხედველობითი კონტაქტი აუდიტორიასთან,

არაფერია იმაზე მოსაწყენი, ვიდრე პრეზენტატორის მოსმენა, რომელიც სადღაც სხვაგან იყურება. მოდუნდი და იქონიე მხედველობითი კონტაქტი აუდიტორიასთან. რა თქმა უნდა, დიდ აუდიტორიაში თითოეულ მათგანს თვალებში ვერ უყურებ, მაგრამ საკორდინაციოდ უნდა აიღო სამი წერტილი. უკიდურესი მარჯვენა, მარცხენა და შუა წერტილი. რომელთაც ეტაპობრივად უნდა შეხედო, ასე შექმნი ილუზიას, რომ ყველა მსმენელს თვალებში უყურებ.

➤ აკონტროლე ხმა და ტონალობა.

შენი მიზანია დაინტერესო აუდიტორია და არა დააძინო, ამიტომ აკონტროლე ხმა და ეცადე თემა საინტერესოდ გადმოსცე. შეგიძლია საუბრისას გამოიყენო ხელის მოძრაობა საუბრის შესაბამისად, ეს, ამასთან, დაფარავს შენს ნერვიულობას.

➤ პრეზენტაციის დასასრულს გააკეთე დასკვნა.

პრეზენტაციის დასკვნითი ნაწილი აუდიტორიაზე საბოლოო შთაბეჭდილებას ტოვებს. შესაძლოა, ეს იყოს შეჯამება, ან კრეატიული დასასრული. ან სულაც დასვი რიტორიკული კითხვა, რაც აუდიტორიას შენს პრეზენტაციაზე ფიქრს გააგრძელებინებს.

➤ დაუბრუნდი კუთვნილ ადგილს გაღიმებული.

არ ინერვიულო, თუ აპლოდისმენტებს ვერ დაიმსახურებ. იფიქრე იმაზე, რომ შენ შეძელი ის, რაც შეიძლება სხვამ ვერასოდეს შეძლოს. პრეზენტაციამდე, პრეზენტაციის დროს და მისი დასრულების შემდეგ იფიქრე წარმატებულ პრეზენტაციაზე და არ მისცე თავს უფლება, დაგაფიქროს წარუმატებელ პრეზენტაციაზე. გააკეთე შენი შესაძლებლობების მაქსიმუმი და იყავი თავდაჯერებული.

პირველ რიგში, პრეზენტატორი უნდა იყოს კარგად დასვენებული. აუცილებელია, დაიცვას ე.წ დრესკოდი, ანუ ტანსაცმელი უნდა იყოს ოფიციალური, თუმცა ამავდროულად უნდა გაითვალისწინოს აუდიტორიის ტიპი და

პრეზენტაციის თემატ. ჯერ კიდევ პრეზენტაციის დაწყებამდე პრეზენტატორმა უნდა გადაამოწმოს ტექნიკური საშუალებების მუშაობა და ისინი მოაწყოს ისე, რომ პრეზენტაციის ჩატარებისას შეექმნას კომფორტი. შეამოწმოს ხმა აუდიტორიაში რამდენად კარგად ისმის, ხსნის თუ არა ინფორმაციას საპრეზენტაციო კომპიუტერი და პროექტორი, ჩანს თუ არა კარგად გამოსახულება და ა.შ. პრეზენტაციის დაწყების დაგვიანება არ არის სასურველი, თუმცა, თუ აუდიტორია იგვიანებს, შეიძლება დაველოდოთ 5-7 წუთი, მაგრამ დიდხანს ლოდინი მოსული მსმენელის უპატივცემულობაა. საუბრისას აუდიტორიაში უნდა მოძებნოთ წერტილი, საითაც მიმართავთ თქვენს მზერას, ან ადამიანები, რომლებიც გიმზერენ კეთილგანწყობილად. ხშირად გაიღიმეთ და შექმენით კეთილგანწყობილი გარემო. უნდა ისაუბროთ ხმამაღლა, რომ ყველამ გაიგონოს და მიიტანოთ თქვენი სათქმელი შეძლებისდაგვარად აუდიტორიამდე. სასურველია სლაიდები გადაგირთოთ დამხმარემ ან გადართოთ Remote Control-ის საშუალებით, რათა არ შეგექმნათ პრობლემა კომპიუტერიდან მოშორებისა და სლაიდის გადასვლა-დაბრუნებისას პაუზების შექმნით. ჩაატარეთ პრეზენტაცია სწრაფად, რაც არ უნდა მოცულობითი იყოს თემა, ეცადეთ ჩაეტიოთ 15 წუთში. იმ შემთხვევაში, თუ თემა დიდია, შემოიფარგლეთ მხოლოდ თეზისებითა და ძირითადი ინფორმაციით. ნუ გექნებათ განცდა, რომ მთელ ინფორმაციას დაიმახსოვრებს აუდიტორია. შესაძლებელია, პრეზენტაციისას გადაცემული ინფორმაციის მხოლოდ ნაწილი დაილექოს პიროვნების მეხსიერებაში. ასე რომ ნუ გადატვირთავთ მსმენელებს, მიაწოდეთ ინფორმაცია ზომიერად და უზრუნველყავით ინფორმაციის ფარული გამეორებაც დამახსოვრების მიზნით. აუცილებლად აკონტროლეთ დრო, რომელიც წინასწარ გექნებათ გათვლილი და გაითვალისწინეთ დრო კითხვებისთვის. შეიძლება კითხვა უინტერესო იყოს, მაგრამ ეცადეთ ამომწურავად უპასუხოთ, რომ მიიღოთ შემდეგი შეკითხვა და დაიმსახუროთ კეთილგანწყობა. ასევე კითხვა შეიძლება ეხებოდეს იმას, რაც უკვე თქვით. ამ შემთხვევაშიც გაეცით ამომწურავი პასუხი, რადგან მოგეცემათ საშუალება კიდევ ერთხელ გაიმეოროთ ინფორმაცია და დაამახსოვროთ მსმენელს. კითხვების ამოწურვის შემდეგ, ეცადეთ დასკვნა/შეჯამება კიდევ ერთხელ გააჟღეროთ და უზრუნველყოთ აუდიტორიაში ტაშის დაკვრის განწყობა დამამთავრებელი ფრაზებით. ტაში უნდა დავიმსახუროთ კარგი პრეზენტაციით. თუ აუდიტორიამ



დაგვიკრათ ტაში, მაშინ თქვენი პრეზენტაცია შეგიძლიათ შევაფასოთ მიზანმიღწეულად.

### §3. პრეზენტაცია, როგორც ამბავი

ხშირად გვსმენია მოსწავლეთაგან, რომ გაკვეთილები ერთფეროვნად, უინტერესოდ ეჩვენებათ და აღარ სურთ მოსმენა იმის, რაც უკვე მათთვის ნაცნობია. მათ სურთ სიახლეები უფრო შემოქმედებითი გაკვეთილები, რომლებსაც ინტერესით, ხალისით მოუსმენენ და გაითავისებენ. სწორედ ამ ყველაფრის გათვალისწინებით უნდა შეძლოს მასწავლებელმა ისეთი სასწავლო აქტივობების შემუშავება, რაც მოსწავლეთათვის უფრო საინტერესოს და სახალისოს გახდის გაკვეთილებს. ამ მხრივ ბოლო პერიოდში ეფექტური და ხშირად გამოყენებადია ამბის თხრობის. ეწ. Storytelling-ის მეთოდი. ეს მეთოდი გულისხმობს ინფორმაციის გადაცემას რაიმე ამბის შეთხზვითა და თხრობით. ამბის საინტერესო თხრობისათვის მასწავლებელმა უამრავ ვარიანტს შეიძლება მიმართოს, ზოგი ამბის თხრობას დამაინტრიგებელი შეკითხვით იწყებს, ზოგიც პირად გამოცდილებას უზიარებს მოსწავლეებს, ზოგიერთი კი ამბის საინტერესოდ დასაწყებად არალოგიკურ მოსაზრებას აჟღერებს, რამაც შესაძლოა მოსწავლეები დააინტრიგოს და ამით განაწყოს მოსასმენად. არჩევანი დიდია, თუმცა მთავარი კითხვაა, რომელი ვარიანტი დააინტერესებს და ეფექტური აღმოჩნდება მოსწავლეთათვის.

თანამედროვე სამყაროში ჩვენი აღქმა გახდა უფრო ვიზუალური ანუ ჩვენზე მოქმედებს ის, რასაც ვხედავთ. ამიტომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ვიზუალური ამბის შექმნას. ამბავი - ეს არის ის, რაც ყველას აინტერესებს, მითუმეტეს თუ ეს ამბავი ისეა მოთხრობილი, რომ ეხება ბავშვების, მსმენელის ინტერესებს, განცდებს, ემოციებსა და აზრებს. ბავშვებს ამგვარად გადაცემული ინფორმაცია უფრო მეტად ამახსოვრდებათ და იაზრებენ, ამასთანავე სიამოვნებით პროცესი, არიან უფრო მობილიზირებულნი და მაქსიმალურად ჩართულნი საგაკვეთილო პროცესში. მოსწავლეებს ყოველთვის სიამოვნებით, როცა თავად არიან მონაწილენი იმ

აქტივობებში, რასაც მასწავლებელი სთავაზობს მათ. აქედან გამომდინარე შესაძლებელია მასწავლებელმა თავად მოსწავლეებს დაავალოს შექმნან ამბავი და გაუზიარონ ერთმანეთს. ეს ძალიან ეფექტური საშუალება იქნება, რომელიც აუცილებლად გაიყვანს მასწავლებელს შედეგზე. ამას გვიდასტურებს ბოლო პერიოდში განათლების სფეროში წამოჭრილი აქტუალური მოთხოვნა, რომელიც კეთებით სწავლებას ეხება.

ეფექტური და საინტერესო ამბავი, რომ შევქმნათ აუცილებელია ჩვენში გაიღვიძოს კრეატიულობამ და შემოქმედებითობამ, თორემ ძალიან კარგი იდეაც შეიძლება ისე გადმოვცეთ, რომ იყოს უფერული, უინტერესო და არავინ არ მოგვისმინოს. იდეის გამოხატვა და გადმოცემა არის ძალიან მნიშვნელოვანი, ამიტომ უნდა ვეცადოთ ყოველთვის სწორად შევარჩიოთ ის გზები, რომლებიც მიგვიყვანს მოსწავლეთა გულსა და გონებად, რომელიც შთააგონებს და აღაფრთოვანებს მათ. თანამედროვეობამ ამის სულ სხვა გზები და საშუალებები მოგვითანა, რომელთაც დღეს აქტიურად ვიყენებთ და მივყავართ დასახულ მიზნამდე.

ამბის შესაქმნელად და გადმოსაცემად ინოვაციური პლატფორმებიდან გამორჩეულია **Spark Adobe**, რომელიც არის ონლაინდიზაინის აპლიკაცია. მისი მეშვეობით შესაძლებელია ამბის გადმოცემა განსაცვიფრებელი, სოციალური გრაფიკით, ასევე მოკლე ვიდეოებითა და ვებ-გვერდებით. პლატფორმაზე შესაძლებელია ფოტოების, ვიდეოების, კლიპების, გამოსახულებების დამატება, საკუთარი ხმის ჩაწერა და მათზე მიმაგრება. ამბის შექმნას გვთავაზობს ხარისხიანი საუნდრეკითა და კინომოტივებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პლატფორმაზე შესაძლებელია ასევე პოსტერების, ჟურნალების, წიგნების გარეკანებისა და სარეკლამო ბანერების დამზადება. გვთავაზობს შაბლონებს, რომელთა გამოყენებითაც შესაძლებელია საინტერესო ისტორიების შექმნა და გაზიარება.

ამბავი, რომელიც იქნება ვიზუალურად გადმოცემული, ყოველთვის იქონიებს დადებით ზეგავლენას მოსწავლეებზე. სწორედ Spark Adobe აძლევს შესაძლებლობას მოსწავლეებსა და მასწავლებლებს მარტივად შექმნან და გაუზიარონ ერთმანეთს ვიზუალური ისტორიები, რომელიც მოსწავლეებს ჩამოუყალიბებს კრეატიულ იდეებს, შემოქმედებით და თხრობით უნარებს.

**ჩემ მიერ შექმნილი რესურსი:**

#### §4. პრეზენტაციის შეფასების ფორმები

პრეზენტაციის დაგეგმვის, მზადებისა და წარდგენის პროცესში გამუდმებით უნდა გვახსოვდეს და ვითვალისწინებდეთ პრეზენტაციის შეფასების კრიტერიუმებს, ეს დაგვეხმარება საკუთარი თავის ობიექტურად შეფასებასა და პრეზენტაციის უნარების დახვეწაში. ზოგადად, პრეზენტაციის შეფასების უამრავი კრიტერიუმი არსებობს, მაგრამ ამჯერად გაგაცნობთ აუცილებელ და საყოველთაოდ გავრცელებულ პრეზენტაციის შეფასების კრიტერიუმებს.

პრეზენტაციის ფასდება შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:

- საკითხის ზუსტად და ამომწურავად გადმოცემა;
- ტერმინოლოგიის დაცვა;
- საპრეზენტაციო მასალის ზედმიწევნით კარგად ფლობა;
- აუდიტორიის ფლობა და ადეკვატურად რეაგირება მის რეაქციაზე;
- ვიზუალიზაციის ხერხების ფართო სპექტრის (სლაიდშოუ, ჰენდაუთი, პლაკატი, დაფა და ა.შ.) ეფექტურად ფლობა.

პრეზენტაცია ასევე შეიძლება შეფასდეს, როგორც ძალიან კარგი, კარგი, დამაკმაყოფილებელი და არადამაკმაყოფილებელი. ახლა კი განვიხილოთ თითოეულ კრიტერიუმში რა საკითხები მოიაზრება.

##### **ძალიან კარგი**

- საკითხი ამომწურავად არის გადმოცემული;
- ტერმინოლოგიურად გამართულია;
- შეცდომები უმნიშვნელოა;
- რეფერენტი დამაკმაყოფილებლად ფლობს საპრეზენტაციო მასალას;

- კრიტიკულად აფასებს განსახილველ საკითხთან დაკავშირებულ მოსაზრებებს, გრძნობს აუდიტორიას და ძირითადად კონტაქტს ამყარებს მასთან;
- ადეკვატურად იყენებს ვიზუალიზაციის ხერხებს.

### **კარგი**

- საკითხი არასრულად არის გადმოცემული;
- ტერმინოლოგია ნაკლოვანია;
- რეფერენტი ფლობს საპრეზენტაციო მასალას, მაგრამ აქვს მცირე შეცდომები;
- იშვიათად ამჟღავნებს კრიტიკული აზროვნების უნარს;
- ცდილობს აუდიტორიის ყურადღების მიპყრობას, მაგრამ ზოგჯერ უშედეგოდ;
- უმართებულოდ იყენებს ვიზუალიზაციის ხერხებს.

### **დამაკმაყოფილებელი**

- საკითხი არასრულად არის გადმოცემული;
- ტერმინოლოგია არასწორია;
- მასალა გადმოცემულია ნაწილობრივ;
- არის რამდენიმე არსებითი შეცდომა, პასუხი მოიცავს წაკითხული ინფორმაციის გაუაზრებელ გამეორებას;
- რეფერენტი პერიოდულად ცდილობს აუდიტორიის ყურადღების მიპყრობას, მაგრამ არ იცის, როგორ მოახერხოს ეს;
- ძალზე იშვიათად ან არაადეკვატურად იყენებს ვიზუალიზაციის ხერხებს.

### **არადამაკმაყოფილებელი**

- პრეზენტაცია არ შეესაბამება საკითხს, ტერმინოლოგია არ არის გამოყენებული ან არ არის შესაბამისი;
- გადმოცემული საკითხები არსებითად მცდარია;
- პრეზენტაცია ძალზე ბუნდოვანი და არაინფორმაციულია;
- მსმენელებს უჭირთ აზრის გამოტანა;
- რეფერენტი ვერ ამყარებს კონტაქტს აუდიტორიასთან, ლაპარაკობს გაურკვეველად;

- არ იყენებს ვიზუალიზაციის საშუალებებს.

პრეზენტაცია ფასდება ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტის შესაბამისად. გთავაზობთ პრეზენტაციის შეფასების რუბრიკას.

ამ შემთხვევაში მოსწავლეებს თითოეულ კრიტერიუმში ენიჭებათ ნული ან ერთი ქულა და საბოლოო ქულის გამოსაყვანად ითვლება მათი ჯამი. მაქსიმალური ჯამი არის ათი ქულა.

- საინტერესო შესავალი (პრობლემის იდენტიფიცირება) ;
- კვლევების / ნაშრომის წარმოჩენის უნარი;
- შემოქმედებითი უნარი;
- პრობლემის გადაჭრის გზების შეთავაზება;
- საუბარი, (გამართულობა ტემბრი);
- თვალსაჩინოების გამოყენება;
- აუდიტორიასთან კონტაქტი;
- ინფორმაციის ფლობის უნარი, (ადეკვატური კითხვა-პასუხი);
- დროის ლიმიტის დაცვა.

სწორედ აღნიშნული შეფასების რუბრიკით აფასებს მასწავლებელი საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა პრეზენტაციებს. თითოეული კრიტერიუმი ნათელ წარმოდგენას უქმნის მოსწავლეს საკუთარი ნამუშევრის მიმართ, თუ როგორი პრეზენტაცია ჰქონდა, რა იყო მისი პრეზენტაციის ძლიერი და სუსტი მხარე. ეს ყოველივე მოსწავლეს ეხმარება მომავალი პრეზენტაცია დაგეგმოს ისე, რომ მასში გათვალისწინებული იყოს შეფასების თითოეული კრიტერიუმი სწორად.

## თავი II. ონლაინპროგრამები ინტერაქტიული პრეზენტაციის შესაქმნელად

### §1. საპრეზენტაციო პროგრამების გამოყენება გაკვეთილზე

XXI საუკუნე თანამედროვე ტექნოლოგიების საუკუნედ ითვლება, შესაბამისად, ჩვენ, მასწავლებლებმა, მოსწავლეებმა თუ სხვა სფეროს

წარმომადგენლებმა, ფეხი უნდა ავუწყოთ თანამედროვეობას და ვუპასუხოთ მის გამოწვევებს.

დღეს განათლების სფეროში მუდმივად მიმდინარეობს ცვლილებები, ვდგავართ გამოწვევების წინაშე. როგორი უნდა იყოს აქტიური, ინოვაციური და შემოქმედებითი გაკვეთილები, რომლებიც იქნება თანამედროვე ტექნოლოგიებსა და მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული.

სწავლების ხარისხის ასამაღლებლად ტექნოლოგიების გამოყენებას რამდენიმე სარგებელი მოაქვს. მიუხედავად იმისა, რომ ნდობა, სხეულის ენა და ამბების მოყოლის უნარი მასწავლებლის მნიშვნელოვანი თვისებაა, ტექნოლოგიის გამოყენებით პრეზენტაციის წარდგენა მნიშვნელოვან როლს თამაშობს გაკვეთილის აღქმაში.

გაკვეთილზე ტექნოლოგიის ჩართვა გაკვეთილს უფრო საინტერესოს ხდის, ეხმარება მოსწავლეებს ყურადღების კონცენტრირებაში და მასალის უკეთ გაგებაში. პრეზენტაცია ასევე საშუალებას აძლევს პედაგოგებს, წარმოაჩინონ შინაარსი სხვადასხვა ფორმატში, მიმართონ სწავლის სხვადასხვა სტილს განსხვავებული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებთან მუშაობისას.

ეროვნულ სასწავლო გეგმას თუ გადავავლებთ თვალს, ვნახავთ, რომ ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები მიეკუთვნება „გამჭოლ სასწავლო პრიორიტეტებს“ და ციფრული კომპეტენციის ფლობა, ონლაინრესურსის შექმნა თანამედროვე მოსწავლის აუცილებელი მოთხოვნაა. გთავაზობთ რამდენიმე ონლაინპლატფორმას პრეზენტაციის შესაქმნელად.

**პრეზენტაციის შექმნის შესანიშნავი პლატფორმებია:** Microsoft PowerPoint, Prezi, Sway, AhaSlides, Visme, Nearpod, ClassFlow, FlowVella, Intuiface და სხვა.

ამ პლატფორმების გამოყენებით შესაძლებელია შთამბეჭდავი, საინტერესო, ეფექტური და ინტერაქტიული პრეზენტაციის შექმნა. მათი სასწავლო მიზანია: მოსწავლეთათვის პრეზენტაციის უნარების განვითარება, საკუთარი საქმიანობის გაცნობა ადამიანების გარკვეული წრისათვის, ინფორმაციის, ხედვისა და იდეის გადაცემა, საკითხის ნათლად გაგება, სიღრმისეული შესწავლა, მოსწავლეთა ჩართულობა და ლიდერული უნარ-ჩვევის ჩამოყალიბება.

**საპრეზენტაციო პროგრამების შესაძლებლობები:**

**Microsoft Office Power Point** არის პირველი საპრეზენტაციო პროგრამა და დღემდე პოპულარობით სარგებლობს საგანმანათლებლო სფეროში. მისი მეშვეობით ჩვენ ვისწავლეთ მცირე დროში ხარისხიანი პრეზენტაციის შექმნა. პროგრამაში მომზადებული პრეზენტაციები გათვლილია დიდი ეკრანისთვის, პროექტორით გასაშუქებლად ან ტელევიზორის ეკრანზე გადასატანად. PowerPoint-ის მეშვეობით შესაძლებელია ძალიან საინტერესო, ეფექტური და ინტერაქტიული პრეზენტაციების მომზადება. მასში მომზადებული სლაიდები გვიქმნის თავდაჯერებულობას და ეფექტურს ხდის ჩვენს პრეზენტაციას. მისი ბოლოდროინდელი ვარიანტები საშუალებას გაძლევთ შექმნათ ისეთი პრეზენტაციები, რომელშიც გამოყენებული იქნება ანიმაციები, კამერის სხვადასხვა მანიპულაციები, სამგანზომილებიანი მოდელები და სხვა. ასევე შესაძლებელია GIF და ვიდეოანიმაციების შექმნა პრეზენტაციის დინამიურობისთვის, პერსონაჟთა იმიტირებული დიალოგისთვის, ანიმირებული შემეცნებითი კომიქსების შესაქმნელად. აღნიშნულ პლატფორმაში მუშაობა ძალიან კომფორტულია. მასში პრეზენტაციის მომზადება ხდება, როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფურად. შესაძლებელია რედაქტირება ერთობლივად რეალურ დროში.

Microsoft Office Power Point პრეზენტაციის გასამრავალფეროვნებლად და მასში ფონების შესაქმნელად გამოიყენება პროგრამა **Pizap**. ამ ვებგვერდზე თქვენ შეგიძლიათ შექმნათ ფოტოკოლაჟი, დაამუშაოთ ფოტო, ჩამოტვირთოდ მზა ფონი ან შექმნათ საკუთარი ფანტაზიით. აქვს ჩანართები, რომელშიც მოცემულია სადღესასწაულო თემატიკასთან დაკავშირებული მზა ფონები. შესაძლებელია მათი კომპიუტერში ჩამოტვირთვა და შენახვა. პროგრამა საშუალებას გაძლევთ თავად შეიტანოთ ცვლილებები არჩეულ ფონზე, შეცვალოთ პალიტრა, დაამატოთ საგნები, ღრუბლები ტექსტებისათვის და სხვა. დასახელებულ პროგრამას ხშირად მიმართავენ პედაგოგები, რათა მათ მიერ მომზადებული პრეზენტაციები მეტად შთამბეჭდავი და ეფექტის მომხდენი იყოს მოსწავლეებისათვის.

PowerPoint-ი ეფექტური პროგრამაა, რომელიც თავის აქტუალობას არ კარგავს დღემდე, მაგრამ მას თანდათან ენაცვლება ინტერაქტიული ონლაინპრეზენტაციები.

ამ მხრივ გამოირჩევა **Google presentation** საპრეზენტაციო პროგრამა, რომელიც მოსწავლეებს სთავაზობს მოკლე დროში შექმნან, დამაჯერებელი, შთამბეჭდავი

პრეზენტაცია. შესაბამისი გაფორმებითა და ანიმაციებით. პლატფორმაზე შესაძლებელია, როგორც პრეზენტაციის მომზადება ასევე მზა პრეზენტაციის ატვირთვა და განთავსება. იგი საშუალებას იძლევა ოფლაინ რეჟიმში მოსწავლეებმა მოახერხონ მათ მიერ შექმნილი პრეზენტაციის რედაქტირება. გამორჩეულია იმ მხრივაც, რომ მასში მუშაობა მოსწავლეებს შეუძლიათ თანადროულად ნებისმიერი ადგილიდან.

მასწავლებელმა აღნიშნულ პროგრამაზე შექმნილი პრეზენტაცია შეუძლია გაუზიაროს მოსწავლეებს სხვადასხვა პლატფორმაზე ან გაუგზავნოს მის მიერ შექმნილ google claasroom-ში. მოსწავლეთათვის აღნიშნულ პროგრამაზე მუშაობა ძალიან კომფორტული და სახალისოა.

თანამედროვე მოთხოვნებზე დაფუძნებულ ონლაინსაპრეზენტაციო პლატფორმას გვთავაზობს **Sway**, რომელიც Microsoft Office-ის პროდუქციის ნაწილია. იგი მოსწავლეებსა და მასწავლებლებს საშუალებას აძლევს შექმნან და გააზიარონ ინტერაქტიული პრეზენტაციები, ანგარიშები, პირადი ისტორიები და ა.შ. პლატფორმა არის ადვილად გამოსაყენებელი ციფრული თხრობის აპი. მასზე განთავსებულია სხვადასხვა მზა დიზაინი, რომლის გამოყენებაც უფრო მიმზიდველს და შთამბეჭდავს ხდის პრეზენტაციას. ასევე შესაძლებელია ატვირთოთ ფოტოები, ვიდეოები და ინფორმაციები, როგორც საძიებო ველიდან ისე საკუთარი კომპიუტერიდან, ჩააშენოთ ჰიპერლინკები და დამატებითი ინფორმაციები ისე ტექნიკურად, რომ მოსწავლეთათვის ეფექტის მომხდენი და დაუვიწყარი იყოს.

აღნიშნული პლატფორმის კომფორტულობასა და პრაქტიკულობას ასევე ხაზს უსვამს ის ფაქტიც, რომ პრეზენტაციის მომზადების დროს შეგვიძლია დიდი ზომის ტექსტები განვათავსოთ სლაიდებზე დაურთოთ ფოტოები, ვიდეოები და ლინკები. ეს არის პლატფორმა, რომელიც მასწავლებლებს სთავაზობს პრეზენტაციის შექმნას ჟურნალის სახით, დასურათებულად, ზემოდან ქვემოთ გადაფურცვლის რეჟიმით, რაც განასხვავებს სხვა პლატფორმებისგან.

ცხოვრება ყოველდღიურად გვთავაზობს თანამედროვე, ინოვაციურ მიდგომებსა და საშუალებებს, სწორედ ერთ-ერთი მათგანია ონლაინსაპრეზენტაციო



პლატფორმა **Prezi**. მისი მეშვეობით შესაძლებელია რამდენიმე წუთში შთამაგონებელი, ვიზუალურად მიმზიდველი ონლაინპრეზენტაციის შექმნა და რედაქტირება. ტექსტური და გრაფიკული ინფორმაციის, აუდიო და ვიდეოფაილების ჩასმა, ნამუშევრის გაზიარება, ინდივიდუალური და გუნდური მუშაობა. გამოირჩევა იმ მხრივაც, რომ აქვს ავტონომიური პრეზენტაციის რეჟიმი. საშუალებას იძლევა დიაგრამების, ინტერაქტიული რუკების შექმნისა და ვიდეო შეტყობინების ჩაწერის. პრეზენტაცია გამოიყენება, როგორც ვიდეო კონფერენციაზე ასევე პროექტის წარდგენისას.

საპრეზენტაციო პლატფორმა მასწავლებლებს ეხმარება სასწავლო მასალის თვალსაჩინოდ და საინტერესოდ წარდგენაში, რესურსების სლაიდებზე გადატანაში, რომელიმე საკითხის უფრო სიღრმისეულად გაშლასა და საფეხურებად წარმოდგენაში. ხოლო მოსწავლეებს მისი მეშვეობით მიღებული ინფორმაცია ეხმარება თემის საკვანძო საკითხზე წვდომაში, მრავალფუნქციური, რთული მასალის დამუშავებასა და თანამედროვე სტანდარტების შესაბამის სასიამოვნო, მსუბუქი, ეფექტური ონლაინპრეზენტაციის შექმნაში. მას ახასიათებს სასურველი კადრის მოახლოება და შორს გატანა, რაც მის მოქნილობას უსვამს ხაზს. პლატფორმაზე მოცემულია მზა სახის არაერთი დიზაინი, რომელთა გამოყენებითაც მოსწავლეები ქმნიან თანამედროვე, ინოვაციურ და ეფექტურ პრეზენტაციებს. ასევე შესაძლებელია რამდენიმე მოსწავლის ერთდროულად მოწვევა, გუნდურად მუშაობა და შესაბამისი პრეზენტაციის შექმნა.

მასწავლებლებსა და მოსწავლეებს ძალიან სასარგებლო პრეზენტაციების მომზადებას სთავაზობს ონლაინპლატფორმა **KeyNote**-იც, რომელიც საპრეზენტაციო უზრუნველყოფის პროგრამაა და ქმნის შთამბეჭდავ პრეზენტაციებს. ყველა მოსწავლეს შეუძლია ადვილად დაამატოს ლამაზი დიაგრამები, შეცვალოს ფოტოები და შეიტანოს კინემატოგრაფიული ეფექტები. აქვს 30-ზე მეტი თვალისმომჭრელი თემა, რომლებიც თქვენს პრეზენტაციას მისცემს პროფესიონალურ სახეს. ასევე შესაძლებელია თქვენ თავად შექმნათ სლაიდების დიზაინი, ფონის სურათები და მთარგოთ გვერდს ინდივიდუალურად. პლატფორმის ფართო თვისებები შესანიშნავ საშუალებას წარმოადგენს ახალი ინფორმაციის წარსადგენად და შესასწავლად.

მოსწავლეებს ერთსა და იმავე პრეზენტაციაზე მუშაობა შეუძლიათ კოლაბორაციულად ნებისმიერი ადგილიდან. ისინი ხედავენ მათი გუნდის რედაქტირებებს, რასაც ისინი მუშაობის პროცესში ქმნიან და ასევე გუნდსაც შეუძლია დააკვირდეს კონკრეტული ერთი მოსწავლის მუშაობის პროცესს.

თანამედროვე მოთხოვნები შესაბამისი პრეზენტაციის შექმნას გვთავაზობს ონლაიპლატფორმა **Slides**. ტრადიციული საპრეზენტაციო პროგრამებისაგან განსხვავებით არ საჭიროებს რაიმეს ჩამოტვირთვას, აქვს მრავალფუნქციური გამოყენების დიზაინები და შაბლონები, რაც მუშაობის პროცესს უფრო ამარტივებს, ასევე კოლაბორაციული მუშაობის ფუნქცია, რომელიც კომფორტულს ხდის მას. შეხვედრაზე, საკომფერენციო ზარზე თუ კლასში Live Present რეჟიმის საშუალებით მასწავლებელს შეუძლია აკონტროლოს ის, რისი ჩვენებაც სურს მოსწავლეთათვის.

ინოვაციური საპრეზენტაციო პლატფორმაა **Paste**, რომელიც ერთიშეხვედვით მარტივია, თუმცა ამ სიმარტივის მიღმა გვთავაზობს შაბლონებისა და დიზაინების ფართო სპექტრს. აპლიკაცია ავტომატურად ქმნის კომპლიმენტურ ფონს, შრიფტებს და ფერებს, რომლებიც ემთხვევა ნებისმიერ ინფორმაციას ან მედიას, რომელსაც სლაიდში დაამატებთ. პრეზენტაციის პარალელურად საშუალებას იძლევა მოსწავლეებმა გააკეთონ შეფასებები და დატოვონ კომენტარები, ასევე შექმნან სასაუბროც.

ყველა ალტერნატივას შორის განსხვავებული და მრავალფუნქციური ინტერაქტიული პრეზენტაციის შექმნას გვთავაზობს **AhaSlides**. იგი ხელმისაწვდომი პლატფორმაა, რომელიც საშუალებას იძლევა უმასპინძლოთ სრულად ინტერაქტიულ პრეზენტაციებს, გასაოცარი აქტივობებით. პრეზენტაციის შექმნას გთავაზობთ ულამაზესი ფერებით, თემებითა და სპეცეფექტებით. პლატფორმას ყველაზე მეტად ინტერაქტიულს ხდის მისი ფუნქციები, რომლებიც საშუალებას იძლევა პრეზენტაციას დაამატოთ გამოკითხვები, ვიქტორინები, თამაშები, შესაბამისი ვიზუალური და გრაფიკული წარმოდგენით.

პროფესიონალური პრეზენტაციების, ინტერაქტიული ინფოგრაფიკის, ლამაზი დიზაინისა და საინტერესო ვიდეოების შექმნას გთავაზობთ ერთ სივრცეში ონლაინპლატფორმა **Visme**, რომლის მიზანია შესაძლებლობა მისცეს ნებისმიერი დარგის წარმომადგენლებს მარტივად წარმოაჩინონ საკუთარი იდეები პრეზენტაციებში, ინფოგრაფიკაში, სხვადასხვა დიზაინში და ა.შ. პლატფორმა იძლევა შეუზღუდავ შესაძლებლობას მარტივად შეასრულოს ყველამ თავისი სამუშაო. მას აქვს უამრავი მზა დიზაინები, გრაფიკები, ანიმაციები და პერსონაჟები, რომელთა გამოყენებითაც შთამბეჭდავი პრეზენტაციის შექმნა შესაძლებელია, ასევე სლაიდზე ვიდეოს ჩაშენება ტექსტების პარალელურად. შესაძლებელია მასზე შექმნილი პრეზენტაციის, როგორც სხვებისათვის გაზიარება, ისე ჩამოტვირთვა კომპიუტერში. Visme მასწავლებლებს სთავაზობს ისეთი პრეზენტაციების შექმნას, სადაც სლაიდებზე იქნება ნაკლები ტექსტი და მეტი შოუ. პლატფორმა მოსწავლეებს საშუალებას აძლევს შექმნან საოცარი ვიზუალური კომუნიკაცია და სასწავლო მასალები, დინამიური დავალებები. ხელს უწყობს შეინარჩუნონ რთული ინფორმაცია ინტერაქტიული და ვიზუალურად მიმზიდველი შინაარსის საშუალებით. ამავდროულად მარტივად შეუძლიათ შექმნან და შეინახონ ინტერაქტიული პრეზენტაციები, უნიკალური, მიმზიდველი სასწავლო მასალები ანიმაციური ხატებით, ილუსტრაციებით, ფორმებით, პერსონაჟებით და სპეციალური ეფექტებით ყოველი ახალი სასწავლო წლის ან სემესტრის განახლებისთვის.

მარტივი პრეზენტაციის შექმნას გთავაზობს პლატფორმა **Swipe**, რომელიც არის ძალზედ მარტივი და მოქნილი საპრეზენტაციო პლატფორმა. იგი სხვა პლატფორმებისაგან შედარებით არ გამოირჩევა მრავალმხრივი ფუნქციით, თუმცა არც მათ ჩამორჩება თავისი შესაძლებლობებით. მასზე შესაძლებელია მცირე დროში შექმნათ ინტერაქტიული ონლაინპრეზენტაცია, დაურთოთ ფოტო, ლინკები და გაუზიაროთ სხვებს.

კლასთან ურთიერთობისა და ინტერაქტივის საშუალებას სთავაზობს მასწავლებელს მოქნილი საპრეზენტაციო ონლაინპლატფორმა **Mentimeter**. მისი გამოყენებით შესაძლებელია მხიარული და საინტერესო პრეზენტაციების

მომზადება, რომელიც გამორჩეული იქნება პირდაპირი გამოკითხვებით, ვიქტორინებით, სიტყვების ღრუბლებით, ფოტოებით, სლაიდებითა და ხმის დართვით. რაც მთავარია, მასწავლებელს შესაძლებლობას აძლევს მის მიერ მომზადებული პრეზენტაცია გააზიაროს და გაატაროს შედეგები შემდგომი ანალიზისათვის, დროთა განმავლობაში კლასის პროგრესის შესაფასებლად შეადარებს მონაცემებს.

ინტერაქტიული პრეზენტაციების შექმნისა და შეფასებების საშუალებას აძლევს მასწავლებლებს ონლაინპლატფორმა **Nearpod**, რომელიც გამორჩეულია თავისი ფუნქციებით. მისი მეშვეობით მასწავლებელს შეუძლია უამრავი სახალისო პრეზენტაციის შექმნა, რომელიც დატვირთული იქნება ქვიზებით, კითხვარებით, ანიმაციებითა და ინტერაქტიული ვიდეოებით. პლატფორმა გამორჩეულია იმ მხრივაც, რომ იძლევა კოლაბორაციული მუშაობის საშუალებას ნებისმიერი ადგილიდან, სადაც არ უნდა იყვნენ მოსწავლეები სკოლასა თუ სახლში. ასევე სთავაზობს საგნების არჩევას და მათზე შესაბამისი დიზაინების, შაბლონების მორგებას.

პლატფორმაში ჩაშენებულია Power Point-ისა და Google slides-ის ფუნქციონალები, რომელიც მასწავლებელს აძლევს არჩევანის საშუალებას, თუ რომელ პროგრამაში მოამზადოს პრეზენტაცია. შესაძლებელია ასევე პირდაპირ YouTube-დან ვიდეოების ატვირთვა და მასზე ინტერაქტიული კითხვარების მიმაგრება. პლატფორმა მასწავლებელს სთავაზობს სტანდარტების შესაბამის ბიბლიოთეკაში ინტერაქტიული გაკვეთილისა და ვიდეოს მოძებნა ყველა კლასსა და საგანში. ყველა ეს ფუნქცია მასწავლებლებსა და მოსწავლეებს უქმნის დიდ შესაძლებლობას იმისას, რომ შექმნან შთამბეჭდავი და ღირებული პრეზენტაციები. იგი გარკვეულწილად Slide Show მსგავსია, რომელთანაც მოსწავლეებს შეუძლიათ ურთიერთობა. მას აქვს ინფორმაციული სლაიდები, ინტერაქტიული სლაიდები და სლაიდები, სადაც მოსწავლეები კითხვებს პასუხობენ თავიანთი სიტყვებით, თუ რა ისწავლეს, ასევე სლაიდები, სადაც შეუძლიათ გაკვეთილის შესახებ სურათების დახატვა/ანოტირება.

პლატფორმის გამოყენებით მასწავლებელს შეუძლია გაზარდოს გაკვეთილზე მოსწავლეთა მონაწილეობა ერთობლივი აქტივობებითა და განმავითარებელი

შეფასებებით, როგორცაა ვირტუალური რეალობა, გამოკითხვები, კოლაბორაციული დაფები და თამაშებზე დაფუძნებული ტესტები. შედეგების მიღება შესაძლებელია რეალურ დროში და პოსტ-სერიის ანგარიშებში. მას აქვს ფუნქცია, რომელიც საშუალებას იძლევა პრეზენტაციის შენახვის, როგორც მომავალი სასწავლო ინსტრუმენტი, ვიქტორინებისათვის, საშინაო დავალებებისა და ტესტებისათვის.

მრავალფუნქციური საკლასო აქტივობების შექმნის პარალელურად, ონლაინპლატფორმა **ClassFlow** მასწავლებლებს სთავაზობს ინტერაქტიული პრეზენტაციის შექმნას უამრავი აქტივობით, რომლებიც იპყრობს მოსწავლეთა ყურადღებას და ეხმარება სწავლაში. პლატფორმაზე შესაძლებელია კოლაბორაციული მუშაობა მოსწავლესა და მასწავლებელს შორის, რაც ხელს უწყობს თანამშრომლობას, როგორც პირადად, ისე დისტანციურად. სამუშაო სივრცეებისა და ჩეთის ფუნქციების გამოყენებით რეალურ დროში. კოლაბორაციულ სწავლებას შეუძლია მიიღოს სხვადასხვა ფორმატები, როგორცაა სწრაფი, აქტიური სასწავლო აქტივობები ან გრძელვადიანი ჯგუფური პროექტები. ClassFlow იძლევა შესაძლებლობას ინტერაქტიულ პრეზენტაციას დაურთოთ ლინკები, ვიდეოები, ფოტოები, რომლებიც გაამრავალფეროვნებს და მეტად საინტერესოს გახდის მას, ასევე შინაარსის, დავალებებისა და გაკვეთილების მორგებას, რაც დამოკიდებულია მოსწავლის ან მოსწავლეთა ჯგუფის შესაძლებლობებსა და სწავლის სტილზე. იგი აფართოებს სწავლას საკლასო ოთახის მიღმა, პრობლემების გადაჭრის დამოუკიდებელ უნარს.

ყველასაგან განსხვავებული და ინოვაციური პრეზენტაციის შექმნა შესაძლებელია ონლაინპლატფორმა **SlideDog**-ზე, რომელიც საშუალებას იძლევა შეუფერხებლად შეცვალოთ საპრეზენტაციო ფაილები, ურთიერთობა დაამყაროთ თქვენს კლასთან და ყოველი საკითხი წარმოადგინოთ პროფესიონალურად. იგი მძლავრი ინსტრუმენტია, შექმნილი მულტიმედიის სამართავად, რომელიც საშუალებას გაძლევთ შექმნათ შთამბეჭდავი პრეზენტაციები სხვადასხვა ფაილებისა და მედიის ტიპების გამოყენებით. მაგალითად, შეგიძლიათ ერთიანად გამოიყენოთ PowerPoint ფაილები, PDF დოკუმენტები, ვებგვერდების ფრაგმენტები, სურათები და

ფილმები, რომ საკითხზე ყოველმხრივ ამომწურავი პრეზენტაცია შექმნათ. SlideDog მუშაობს ორმაგი ეკრანით, რომელსაც აქვს ცალკე წამყვანის ეკრანი, დასაკრავი სიით, ტაიმერით და შენიშვნებით, ხოლო კლასი მხოლოდ თქვენს სლაიდებს ხედავს.

**SlideDog** ქმნის შთამბეჭდავ პრეზენტაციებს ნულიდან. ყველაფერი **PowerPoint**-ის მსგავსია, მაგრამ გარკვეულწილად ძირითადი ინტერფეისით განსხვავდება. მისი უპირატესობა ის არის, რომ ის საშუალებას გაძლევთ დააკავშიროთ ერთდროულად PowerPoint პრეზენტაციები, PDF ფაილები, Prezi პრეზენტაციები, ფილმების კლიპები და ვებ-გვერდები. პრეზენტაციის დასაკრავი სიები პლატფორმის ერთ-ერთი ყველაზე სასარგებლო თვისებაა, რადგან ისინი საშუალებას გაძლევთ დააყენოთ პრეზენტაციების თანმიმდევრობები, რომლებიც ერთჯერადად იმუშავენს.

ინტერაქტიული ელემენტებისა და სლაიდების გაზიარებას მასწავლებელმა შეიძლება დაამატოს გამოკითხვები და გამოხმაურებები SlideDog-ის პრეზენტაციის სიაში. ასევე მოსწავლეებს მისცეს შესაძლებლობა საკუთარი კომპიუტერებით მიეცნენ პრეზენტაციის დროს მასწავლებლის სლაიდებს და საჭიროებისამებრ დააპაუზონ კიდეც, როცა სლაიდებზე დამატებითი ჩანაწერების გაკეთება ან კონკრეტული დეტალების შემოწმება სჭირდებათ. მასწავლებელს საშუალება აქვს მოსწავლეებს Live რეჟიმში გაუზიაროს პრეზენტაციები რეალურ დროში, აწარმოოს ინტერაქტიული გამოკითხვები და უკუკავშირის სესიები.

სიტყვების, სურათების, ვიდეოების, ბმულების, გალერეებისა და PDF-ების შერწყმით მასწავლებლებს **FlowVella** გთავაზობთ, თქვენი ამბავი გარდაქმნათ ინტერაქტიულ, მიმზიდველ პრეზენტაციად. იგი არის ინტერაქტიული, მულტიმედიაური ორიენტირებული საპრეზენტაციო პროგრამა, რომელიც ყოველთვის დაკავშირებული და მობილურია კლასისთვის. ასევე გამოირჩევა ახალი იდეებითა და პერსპექტივით, რაც ხელს უწყობს თქვენი სურვილის ინოვაციურ განვითარებას და არსებული ინსტრუმენტების დარღვევას, რომლებიც დომინირებს ბოლო 20 წლის განმავლობაში. FlowVella მიზნად ისახავს არა მხოლოდ PowerPoint-ის ალტერნატივის შექმნას, არამედ იმის განსაზღვრას, თუ რა უნდა იყოს თანამედროვე სამყაროში ინტერაქტიული პრეზენტაციის პროგრამა.

პლატფორმა მოსწავლეებისათვის ძალიან მარტივია, მათ არ სჭირდებათ სახელმძღვანელოს კონსულტაცია მრავალპროფილიანი პრეზენტაციის შესაქმნელად. სთავაზობს კოლაბორაციულ მუშაობასა და გაზიარებას, მორგებულ შაბლონებს გამორჩეული პრეზენტაციებისათვის. პრეზენტაციების გადაცემა შეუძლიათ მასწავლებლებსა და მოსწავლეებს, ამბის სწორად გასაგებად. კლასის ნებისმიერ მოსწავლეს შეუძლია კოპირება და იმ ინფორმაციის ფლობა, რომელსაც სხვა მოსწავლეები ფლობენ, ისინი ცვლილებებს ახდენენ და უზიარებენ კლასს. ყველა შემთხვევისათვის შაბლონების შექმნა შესაძლებელია მასწავლებლების ან მოსწავლეების მიერ და ხელმისაწვდომი გახდება დანარჩენი კლასისთვის. მასწავლებელს შეუძლია დაადგინოს პრეზენტაციის ან დავალების სტრუქტურა, ხოლო მოსწავლეებს შეუძლიათ დაამატონ და განაახლონ, აქცენტი გააკეთონ დავალებაზე და არა პარამეტრზე. კლასს დაუყოვნებლივ აქვს წვდომა პრეზენტაციებზე, რომლებსაც მოსწავლეები აკეთებენ და აჩვენებენ, ყველას შეუძლია ნახოს საუკეთესო ნამუშევარი. მასწავლებლებს შეუძლიათ შექმნან ჯგუფები ან კლასი, მოიწვიონ მოსწავლეები და მიანიჭონ როლები ინტერნეტზე დაფუძნებულ, ონლაინინსტრუმენტში.

სკოლისათვის ინტერაქტიული პრეზენტაციის, ციფრული ნიშნების, სასწავლო საშუალებების და ექსპონატების შექმნას სთავაზობს მასწავლებლებსა და მოსწავლეებს ონლაინპლატფორმა **Intuiface**. იგი საშუალებას იძლევა შექმნან ინტერაქტიული პრეზენტაცია მარტივი ჩამოსაშლელი ტექნიკის გამოყენებით და სწრაფად დააკავშირონ თანამედროვე ვიჯეტებთან. ასევე შეიცავს უამრავ ინსტრუმენტს დიზაინის დაჩქარების და დახვეწის მიზნით.

Intuiface ემყარება საგანმანათლებლო ვიდეოებს, ფართო რესურსების ბიბლიოთეკას, გასაოცარი იერით აშენებულ შაბლონებს და აქტიური მომხმარებლების საზოგადოებას, რომ აღარაფერი ვთქვათ საიმედო ტექნიკურ მხარდაჭერაზე. მის შესახებ ყველაზე კარგი ის არის, რომ ის მოსწავლეებს უქმნის სამუშაო გარემოს, რომელიც არა მარტო მარტივი გამოსაყენებელია, არამედ გასაგებიც. საავტორო პლატფორმა ასევე სთავაზობს ინტუიციურ მახასიათებლებს, რაც შინაარსს ქმნის, ყველაზე ახალბედა მომხმარებლებისათვის. იგი არის ძლიერი

ინსტრუმენტი შინაარსის შესაქმნელად, რომელსაც თანამედროვე მოსწავლეები აფასებენ. ინტერაქცია არის ღრმა სწავლის გასაღები და პლატფორმა Intuiface უადვილებს მოსწავლეებს ინტერაქტიული გამოცდილების შექმნას, რომელზეც მოსწავლეები გაცილებით მაღალ დონეზე რეაგირებენ.

მასწავლებლებსა და მოსწავლეებს საპრეზენტაციო ონლაინპლატფორმები მეთოდოლოგიურად უამრავ შესაძლებლობას ანიჭებს. მასწავლებელს შეუძლია დიდი ტექსტების შემცირება და თეზისებად გამოტანა ეკრანზე, ამასთანავე მოსწავლე ამ ყველაფერს ვიზუალურად აღიქვამს, რაც მას ეხმარება თემის შესწავლასა და დამახსოვრებაში (**Microsoft Office PowerPoint**). ასევე შექმნილი პრეზენტაციის გაზიარება მოსწავლეთათვის სხვადასხვა პლატფორმაზე ან გაგზავნა მასწავლებლის მიერ შექმნილ google classroom-ში, რაშიც მუშაობა მოსწავლეთათვის ძალიან კომფორტული და სახალისოა (**Google presentation**). მოსწავლეთათვის ინფორმაციის მარტივად მიღება, მის გადამუშავება და დამახსოვრება. გაკვეთილზე მუშაობა და ერთგვარად თემის შეჯამება. მოსწავლეთა ერთობლივი მუშაობით შექმნილი ძალზედ პროდუქტიული პრეზენტაცია, რომელიც მათ შეაჩვევს სისწრაფეს, ინფორმაციის მოძიებასა და დახარისხებას, ძველ ცოდნაზე ახლის დაშენებას. (**Sway**).

გაკვეთილის ახსნის, განმტკიცების ან შეჯამების პროცესში, დამატებითი ინფორმაციის გაცნობა, დამოუკიდებელი აზროვნების, კრიტიკული მსჯელობის, გუნდური მუშაობის, საპრეზენტაციო უნარ-ჩვევების, კომუნიკაციის უნარების განვითარება, ძველი ცოდნის გამოყენებით ახლის აგება, მოსწავლეთა შეფასება (**Prezi**). მოსწავლეთა მიერ გამოკვლეული ინფორმაციის ასახვა ან წარდგენა, პოეზიისა და მოთხრობების დაილუსტრირება, კლასისთვის საკუთარი პრეზენტაციების შექმნა და მოსწავლეთა წახალისება (**KeyTone**). მოსწავლეთა გუნდური მუშაობა, მედიაბიბლიოთეკით, გამოსახულებებით, ვიდეოებით, სლაიდების შაბლონებითა და კომენტარებით, რაც მათ ეხმარება საუკეთესო პრეზენტაციების შექმნაში. შექმნილი პრეზენტაციები მყისიერად იპყრობს კლასში ყველას ყურადღებას და უჩენს ინტერესს, რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია შეითვისონ საკითხის მიმართ (**Slides**).



გაკვეთილების გაზიარება სხვა მასწავლებლებთან, მოსწავლეებსა და მშობლებთან. ისეთ შემთხვევაში თუ მოსწავლემ გააცდინა გაკვეთილი ან საჭიროებს დამატებითი განმარტების გაკეთებას. ახალი და უნიკალური ფორმით წარდგენა ისეთი პრეზენტაციების, რომლებიც მორგებული იქნება მოსწავლეთა საჭიროებებზე. საკლასო დისკუსიები, თანამშრომლობითი მუშაობა სხვა მოსწავლეებთან, რაც სასარგებლო იქნება გუნდური სწავლების სიტუაციაში (**Paste**). საუკეთესო იდეების შექმნა კლასისაგან ცოცხალი გამოკითხვებით, რომელიც წარმოდგენილი იქნება პრეზენტაციის სახით. კლასის ჩართულობის მიზნით მხიარული კონკურენციის ვიქტორინისა და თამაშის დამატება. შედეგების ნახვა ანონიმურ ჩატში. მოსწავლეთა გამოკითხვა და შეფასება, კომფერენციებსა და სიტყვით გამოსვლის დროს კვლევის მონაცემების ან გამოკითხვის შედეგების გრაფიკულად წარდგენა. კლასის შექმნა მასწავლებლის დამატება და მუშაობა კოლაბორაციულად, ნამუშევრების გაზიარება როგორც ერთმანეთისთვის ასევე სხვათათვის. ონლაინრეჟიმში პრეზენტაციის ნახვა, შეფასების გაკეთება და კომენტარის დატოვება, რაც მოსწავლეთათვის ურთიერთშეფასების უნარის განვითარებას უწყობს ხელს (**AhaSlides**). რთული ინფორმაციის ინფოგრაფიკად წარმოდგენა, რომელიც ხელს უწყობს ხანგრძლივ შთაბეჭდილებასა და ინფორმაციის დამახსოვრებას. მასწავლებლის მიერ თემის სიღრმისეულ ანალიზზე წვდომა, რათა თვალყური ადევნოს მოსწავლეს და დარწმუნდეს კითხულობენ თუ არა საკლასო მასალებს მოსწავლეები. (**Wisme**).

ახალი ან რთული ინფორმაციის გაცნობა, საკლასო სამუშაოს შესრულება, მოპოვებული ინფორმაციის დახარისხება და ვიზუალურად წარმოდგენა რამდენიმე წუთში. გაკვეთილების გამარტივება და საინტერესოდ წარმოჩენა (**Swipe**). მოსწავლეთა ჩართვა დისკუსიებში, მხიარული აქტივობების შეთავაზება, რომელთა შესრულებაც მოსწავლეთათვის იქნება სახალისო და საინტერესო, გაზრდის ენერჯის დონესა და განწყობას. უკუკავშირის მიღება, საუბრები და იდეების გაღვივება საკლასო ოთახში, მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება ახალი და საინტერესო გზებით, ფერადი ანიმაციები, ეფექტური ლიდერბორდი და ვიქტორინის კონკურსები შესანიშნავია განმსაზღვრელი შეფასებისათვის ან მოსწავლეთა ასაღფრთოვანებლად, ცნების ცოდნის ანონიმურად შემოწმება, მოსწავლეთა მეტად ჩართულობა გაკვეთილზე (**Mentimeter**). გამოკითხვები, კოლაბორაციული დაფები და თამაშებზე დაფუძნებული ტესტების

შედეგების მიღება რეალურ დროში. ონლაინ დაფა, რომელზეც შესაძლებელია ყველა მოსწავლის ნამუშევრისა და ნააზრევის დანახვა, მათზე გამოხმაურების გაკეთება. მისი განსაკუთრებულობა ის არის, რომ მოსწავლეებს საშუალებას აძლევს უპასუხონ შიშის გარეშე, ყველა პასუხი ანონიმურია. ის ასევე ეხმარება მასწავლებელს დაადგინოს რომელ საკითხებში არიან მოსწავლეები ძლიერები ან სუსტები (**Nearpod**).

ინტერაქტიული გუნდური აქტივობების შექმნა, რეალურ დროში სწავლის გაზიარება საკლასო ოთახში, საკლასო დისკუსიის გაზრდა, უმაღლესი დონის გაგებისა და აზროვნების განვითარება, ზეპირი კომუნიკაციის უნარები, პასუხისმგებლობა, თვითშეფასება და ლიდერობის უნარები (**ClassFlow**). ინტერაქტიული ელემენტებისა და სლაიდების გაზიარებაზე გამოკითხვებისა და გამოხმაურებების დამატება პრეზენტაციის სიაში. პრეზენტაციის დროს მასწავლებლის სლაიდებზე მიყოლა და საჭიროებისამებრ დაპაუზება კიდევ, როცა სლაიდებზე დამატებითი ჩანაწერების გაკეთება ან კონკრეტული დეტალების შემოწმებაა საჭირო. ეს მოსწავლეებს ეხმარება საკითხის სიღრმისეულად წვდომაში და მნიშვნელოვანი დეტალებისთვის ყურადღების მიქცევაში (**SlideDog**). სახელმძღვანელოს კონსულტაციის გარეშე მრავალპროფილიანი პრეზენტაციის შექმნა, მასწავლებლის მიერ პრეზენტაციის ან დავალების სტრუქტურის დადგენა (**FlowVella**). საინტერესო შინაარსის, ექსპონატებისა და საგანმანათლებლო ვიდეოების შექმნა, რომლის წყალობითაც მოსწავლეებს უვითარდებათ შემოქმედებითი აზროვნება (**Intuiface**).

განხილული პროგრამების გამოყენებით მასწავლებლები ერთფეროვან გაკვეთილებს ახალისებენ, გარდაქმნიან უფრო შემოქმედებითად, ინტერაქტიულად და საინტერესოდ. მოსწავლეებსა და მასწავლებლებს საშუალება ეძლევათ შექმნან და გააზიარონ ინტერაქტიული პრეზენტაციები, ანგარიშები, პირადი ისტორიები და ა.შ.

**სასწავლო აქტივობები საპრეზენტაციო პროგრამების გამოყენებით:**

- შეარჩიეთ შემოთავაზებული საპრეზენტაციო პროგრამებიდან თქვენთვის პრიორიტეტული, გაითვალისწინეთ, შერჩევას უპირატესობა ენიჭება საპრეზენტაციო შაბლონების არჩევანს, მოკლე დროში პრეზენტაციის შექმნის შესაძლებლობას, რედაქტირებისა და სლაიდიდან სლაიდზე გადასვლის ეფექტებს, პანორამირება/მასშტაბირებას, ანიმაციას, ერთობლივი, ჯგუფური

მუშაობის სერვისსა და ავტონომიური მუშაობის შესაძლებლობას. დაკვირვების შედეგები გაუზიარე მეგობრებს;

- შექმნით პრეზენტაცია ტექსტური და გრაფიკული ინფორმაციით, ნახატებითა და აუდიო-ვიდეოფაილებით;
- თქვენ მიერ შექმნილი პრეზენტაცია გაუზიარეთ ან მისაწვდომი გახადეთ სასურველი პირისთვის;
- დააკვირდით და დაწერეთ ანგარიში, - ამ პროგრამების საშუალებით დაზოგეთ თუ არა დრო, რამდენად გაგიოლდათ სამუშაო მზა ონლაინპროდუქტების გამოყენებით;
- გაეცანით საპრეზენტაციო პროგრამების მიერ შემოთავაზებული შაბლონების ბიბლიოთეკას, თქვენთვის საინტერესო პრეზენტაცია ატვირთეთ კლასის საერთო ვებგვერდზე და შეინახეთ საკუთარ პრეზენტაციასთან ერთად.

**ონლაინპრეზენტაციების ფუნქციურ შესაძლებლობათა შედარების ცხრილი**

პროგრამის მახასიათებელი	PowerPoint	Prezi	Swipe	Google presentation	Visme	Nearpod	KeyNote	Slides	Paste
პრეზენტაციაზე ერთობლივი თანადროული მუშაობა	✓			✓		✓	✓		✓
მეხსიერების საცავი			✓	✓	✓		✓		
მობილურ მოწყობილობაზე ადაპტირება			✓		✓		✓	✓	
სოციალურ ქსელებთან ინტერაქცია			✓		✓				
შაბლონების ბიბლიოთეკა		✓					✓	✓	
ავტონომიური პრეზენტაციის	✓	✓							

რეჟიმი									
პანორამირებისა და მასშტაბირების ფუნქცია		✓							
სესიის ჩაწერა და რეპროდუქცია									
კომენტირება									✓
სასაუბროს შექმნა									✓
ხმოვანი კომენტარები სლაიდებისათვის	✓								
ვიდეოს იმპორტი						✓			
ექსპორტი PDF და ZIP დოკუმენტებად								✓	
ოფლაინ რედაქტირება	✓				✓				

ჩემ მიერ შექმნილი რესურსები:

<https://docs.google.com/presentation/d/1n52avtaBngdmY995EWDN26SEtCHkvsTajUCZNG>

[PmJ0M/edit?usp=sharing](https://docs.google.com/presentation/d/1n52avtaBngdmY995EWDN26SEtCHkvsTajUCZNG/edit?usp=sharing) - ყიყინა საფოსტო ყუთი

<https://sway.office.com/FOlO6B1B6dS27YYG?ref=Link&loc=mysways> – ვებხისტყაოსანი

<https://prezi.com/p/edit/pf4fqhesuv9g/> - ციფრული რესურსების მიმოხილვა

## §2. ინტერაქტიური ვიდეო

ვიდეოჩვენების, როგორც ერთ-ერთი მულტიმედია საშუალების გამოყენება სასწავლო პროცესში, მოსწავლეთა მაღალი აკადემიური მოსწრების საწინდარია. მისი საშუალებით სასწავლო პროცესი ხდება ინტერაქციული. შედეგად მოსწავლე პასიური მიმღები არ არის. ვიდეოჩვენება უზიძგებს მოსწავლეებს აღივსონ განსაკუთრებული გრძნობით, ინტერესითა და მოტივაციით, როცა იციან, რომ ახალ

ინფორმაციას მიიღებენ და გაიგებენ რეალური ფაქტების ხილვით. მეორეს მხრივ, ვიდეოს ყურების დროს მოსწავლეთა თვალი მიჯაჭვულია ეკრანს, რაც აუმჯობესებს ცოდნის მიღებისა და დამახსოვრების ხარისხს. სწორედ ამიტომ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ვიდეოს გამოყენება საგაკვეთილო პროცესში საგრძნობლად აუმჯობესებს სწავლების ხარისხს.

გთვარობთ რამდენიმე ონლაინპროგრამას ინტერაქტიული ვიდეოს შესაქმნელად:

ინტერაქტიული პრეზენტაციის შესაქმნელად ერთ-ერთი გამორჩეული პლატფორმაა **Edpuzzle**, თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ იგი არ შემოიფარგლება მხოლოდ ინტერაქტიული პრეზენტაციის შექმნით და მასში შესაძლებელია, როგორც ინტერაქტიული ასევე ანიმაციური ვიდეოების შექმნაც, პლატფორმა მარტივი გამოსაყენებელია მასწავლებელთა და მოსწავლეთათვის. მასწავლებლებს საშუალებას აძლევს თვალყური ადევნონ მოსწავლეთა პროგრესს, რაც მასწავლებელს უადვილებს ინსტრუქციის დიფერენცირებას. ერთდროულად დაუკავშირდნენ ერთმანეთს, გააცნონ ვიდეოგაკვეთილები, გაუზიარონ საკუთარი აზრები და მისცენ რჩევები. ამასთანავე შესაძლებელია განმსაზღვრელი შეფასების ნახვაც. მოსწავლეებს კი ეს ვიზუალურ, ინტერაქტიული პლატფორმა, ხელს უწყობს ისწავლონ საკუთარი შესაძლებლობებით.

საპრეზენტაციო პლატფორმა, საშუალებას გაძლევთ თავად ატვირთოთ ვიდეო, დაურთოთ ღია და დახურული კითხვები, რომელსაც პრეზენტაციის პარალელურად შეგიძლია გასცეთ პასუხი, უპრობლემოდ მიიღოთ მოსწავლეთა ანალიტიკა, ნახოთ ვინ უყურა ვიდეოს, ვინ ვერ გაიგო გაკვეთილი და ვინ შეასრულა დავალება კარგად. მოსწავლეებს შეუძლიათ გადახედონ პრეზენტაციას იმდენჯერ, რამდენჯერაც სჭირდებათ, ხოლო მათი პროგრესის გადამოწმება მარტივად შეგიძლიათ თქვენი ანგარიშიდან. ასევე შესანიშნავი პლატფორმაა იმისათვის, რომ მოსწავლეებმა შეძლონ თვითრეგულირებული სწავლება ყველა საგნისა და კლასის დონისთვის.

ინტერაქტიული საპრეზენტაციო ვიდეო ძალიან ხელსაყრელი საშუალებაა გაკვეთილის ახსნისა და შეჯამებისათვის. მასწავლებელმა უნდა განსაზღვროს როგორი სახის და რა ხანგრძლივობის უნდა იყოს ვიდეო პრეზენტაცია, რომ არ იყოს მოსწავლეთათვის მომაბეზრებელი და ტყუილად არ დაიკარგოს დრო.

მნიშვნელოვანია ვიდეოპრეზენტაციისას მოსწავლის ფოკუსირება ეკრანისადმი, ვინაიდან ამ დროს მოსწავლე არ არსი პასიური მიმღები და მისი ყურადღება კონცენტრირებული უნდა იყოს ეკრანისადმი, რაც უუმჯობესებს ცოდნის მიღებისა და აღქმის ხარისხს, უვითარებს მოკლე დროში ინფორმაციის დახარისხებისა და დამახსოვრების უნარს. მსგავსი საპრეზენტაციო ვიდეოები მოსწავლეებს ძალიან მოსწონთ და უზრდით მოტივაციას სწავლის მიმართ.

ინტერაქტიულ ვიდეოზე საუბრისას გვერდს ვერ ავუვლით ისეთ საინტერესო საპრეზენტაციო პლატფორმას, როგორცაა **Videoant**, ეს არის მოქნილი ონლაინინსტრუმენტი, რომელიც მასწავლებლებსა და მოსწავლეებს საშუალებას აძლევს ვიდეოპრეზენტაციის პარალელურად დაამატონ ვიდეოანოტაციები, გამოკვეთონ თემის კონკრეტული ასპექტები, რომლის განხილვა ან აღნიშვნაც სურთ. კომენტარები შეიძლება დაემატოს იმ ანოტაციებს, რომლებიც ადრე გაკეთდა პასუხის გაცემის ან დამატებითი ინფორმაციის დამატებამდე. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ის, რომ მათ ყოველთვის შეეძლება დაბრუნდნენ უკან და ადვილად შეცვალონ ყველაფერი, რისი შეცვლაც სურთ.

Videoant შეიძლება იყოს ეფექტური ვიზუალური კომპონენტი იმ მოსწავლეთათვის, რომელთაც ეს დამატებითი ელემენტი სჭირდება სწავლის დროს, ის ასევე შეიძლება იყოს შესანიშნავი ინტერაქტიული საკლასო პროგრამა. მისი გამოყენება მოსწავლეებს შეუძლიათ ინდივიდუალურად, ურთიერთქმედებისას და სხვების მოსაწვევად, რომ განიხილონ ერთი და იგივე ვიდეო, გაცვალონ აზრები და მისცენ რჩევები ერთმანეთს. ამით კი მოსწავლეებს უღრმავდება ცოდნა, მსჯელობა და აზროვნება.

მოსწავლეთათვის ეს პლატფორმა ეფექტურია, როგორც სახლში გამოსაყენებლად, როცა აქვთ დავალებული ფილმის ან ვიდეოს ყურება და შესაბამისი საპრეზენტაციო ვიდეოს შექმნა, ასევე კლასში ვიდეოს ან ფილმის პრეზენტაციისას. მათ შეუძლიათ აღნიშნონ კონკრეტული სცენები, ან ეპიზოდები, რომელზეც ისურვებენ და მოახდენენ ფოკუსირებას. ის ფაქტი, რომ პლატფორმაზე შესაძლებელია, როგორც ინდივიდუალური ასევე საერთო მუშაობა ამ ინსტრუმენტს ინტერაქტიულს ხდის. იგი ღირებული ინსტრუმენტია საკლასო ოთახში

გამოსაყენებლად, რადგან ვიდეოების სახით წარმოდგენილი პრეზენტაციები სხვანაირ ელფერს სძენს საგაკვეთილო პროცესს. მისი გამოყენება შეიძლება, როგორც თვითრეფლექსიის, დაკვირვებისა და მასალის გაზიარებისათვის, ასევე ულთიერთქმედებისა და დისკუსიის მოტივაციის ეფექტურ ინსტრუმენტად. დასასრულს Videoant არის საინტერესო და კრეატიული ინსტრუმენტი, რომელიც მასწავლებელს საშუალებას აძლევს შექმნას პროდუქტიული გაკვეთილი, ხოლო მოსწავლეს წარმოაჩინოს საკუთარი შესაძლებლობები.

განსხვავება **Edpuzzle**-სა და **Videoant**-ს შორის არის ის, რომ Edpuzzle-ზე შესაძლებელია არამხოლოდ YouTube არხიდან გადატანა ვიდეო მასალის არამედ საკუთარი googledrive-დან. ამ პლატფორმაზე არსებობს მზა ვიდეოები, რომელიც მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს მიამაგროს ანოტაციები ან კითხვები. გარდა ამისა Edpuzzle-ზე შესაძლებელია ღია და დახურული კითხვების მიმაგრება, ხოლო Videoant ამის საშუალებას არ იძლევა და მასზე შესაძლებელია მხოლოდ კითხვარების მიმაგრება. მასწავლებელს პლატფორმის ეფექტურად გამოყენება შეუძლია სწავლების სამივე საფეხურზე.

ინტერაქტიული გაკვეთილები ყოველთვის დიდი მოწონებითა და ინტერესით გამოირჩევა მოსწავლეთათვის. მათ სურთ აქტიურად იყვნენ ჩართულნი საგაკვეთილო პროცესში, რაც უვითარებთ დამოუკიდებლობასა და კრიტიკულ აზროვნებას. როდესაც გაკვეთილები არ გამოირჩევა ინტერაქტიულობით, არ არის გათვალისწინებული მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები, მათ უქვეითდებათ მოტივაცია და სწავლის სურვილი. გაკვეთილზე არიან უყურადღებოდ და ეზარებათ მოუსმინონ მასწავლებელს. ეს ყოველივე კი ხელს უშლის მასწავლებელს მიაღწიოს დასახულ მიზანს. ამ ყველაფრის გათვალისწინებით დღეს პოპულარობით გამოიყენება საგაკვეთილო პროცესში ინტერაქტიული საპრეზენტაციო ვიდეო, რომლის შექმნაც შესაძლებელია **H5P** ონლაინ პლატფორმაზე. ეს პლატფორმა საშუალებას გაძლევთ შექმნათ ინტერაქტიული ვიდეოები, პრეზენტაციები, კოლაჟები, ქრონოლოგია, თამაშები, რეკლამები და სხვა. შესაძლებელია ინფორმაციის, როგორც მიღება ასევე გაზიარება.

პლატფორმა მრავალფუნქციური გამოყენებისაა, მასზე შესაძლებელია ძალიან საინტერესო პრეზენტაციებისა და რესურსების შექმნა მათ შორის ერთ-ერთია ინტერაქტიული ვიდეო. პლატფორმაზე შესაძლებელია შექმნილი რესურსების სხვებისათვის გაზიარება, როგორც ინდივიდუალური ისე გუნდური მუშაობა. ვიდეო პრეზენტაციის პარალელურად შესაძლებელია ვიდეოზე კითხვების მიმაგრება, კითხვებზე პასუხის გაცემა, შემდეგ კი გაგება სწორად უპასუხეთ თუ არა შეკითხვას, საბოლოოდ გიჩვენებთ თქვენს შედეგს. აღნიშნულ პლატფორმას ეფექტურად იყენებენ მოსწავლეები. ისინი ერთიშეხვედვით მოსაწყენ და უინტერესო დავალებებს გარდაქმნიან შთამბეჭდავ ვიდეოდ, რომელიც მოსწავლეებს უზრდის სწავლის მოტივაციას. მოსწავლეთა გარდა ეს პლატფორმა მასწავლებელს სთავაზობს კონკრეტულ თემაზე მოამზადოს ინტერაქტიული ვიდეოპრეზენტაცია, რომელსაც გამოიყენებს გაკვეთილის ახსნის, განმტკიცებისა და შეჯამებისას. ასევე შეუძლია შექმნას გუნდი და შესაბამისი დავალებები გადაუნაწილოს მოსწავლეებს, რომელსაც ერთობლივად ან ინდივიდუალურად მოამზადებენ და წარუდგენენ მას. ეს მათ უვითარებთ დამოუკიდებლობას და ჰმატებთ თავდაჯერებულობას. რაც მათ მომავალ შედეგებზე დადებითად აისახება.

XXI საუკუნის უნარების განსავითარებელი და ინტერაქტიული პრეზენტაციის შესაქმნელი ძალზედ მოსახერხებელი, კომფორტული და საგანმანათლებლო პლატფორმაა **Thinglink**. რომელიც საშუალებას იძლევა ერთ სივრცეში მოათავსოთ ყველა რესურსი, რაც პლატფორმას ძალზედ მოქნილს ხდის, როგორც მასწავლებელთათვის ისე მოსწავლეთათვის. ის არის ინსტრუმენტი, რომელიც მასწავლებელს სთავაზობს პრეზენტაციისა და დავალების ტრადიციული ფორმატის ალტერნატივას. იგი საშუალებას იძლევა გაზარდოთ სურათები, ვიდეოები და ვირტუალური ტურები დამატებითი ინფორმაციითა და ბმულებით.

Thinglink მოსწავლეებს სთავაზობს აუდიოვიზუალური სასწავლო მასალების შექმნის მარტივ გზას, რომელიც ხელმისაწვდომია ინტეგრირებული კითხვის ინსტრუმენტში. ის ასევე ეხმარება მოსწავლეებს თავისუფლად გამოიყენონ მედიის მრავალი ფორმა, რომ წარმოაჩინონ საკუთარი თავი არა მხოლოდ კლასის შიგნით, არამედ მის გარეთაც. პლატფორმა მოსახერხებელია სურათების ჩასაწერად და



ჩანიშვნების შესანახად. ის ასევე მხარს უჭერს კოლაბორაციულ რედაქტირებას, კურსებისა და დავალებების შექმნას. მისი გამოყენება ონლაინმუშაობისას ძალიან კომფორტული და შედეგის მომტანია. მართალია პლატფორმაზე შექმნილი პრეზენტაციის ჩამოტვირთვა არ ხდება, მაგრამ მისი გაზიარება მრავალფეროვანია.

პლატფორმის გამოყენებით მასწავლებელმა შეიძლება შექმნას ბრწყინვალე შემაჯამებელი პრეზენტაცია, სადაც ერთ სურათსა თუ ვიდეოზე მიმაგრებული იქნება თემის ირგვლივ ყველა საკითხი ამომწურავად. ამით მასწავლებელს ძალიან გაუმარტივდება გაკვეთილის მართვა, მოსწავლეებს კი საკითხისადმი სიღრმისეული წვდომა. ეს მოსახერხებელი პლატფორმაა, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ყურადღების მობილიზებას და შესასწავლი საკითხისადმი ღრმა ინტერესს.

**ჩემ მიერ შექმნილი რესურსები:**

<https://edpuzzle.com/media/603f743f19a53842474d6a7f> - ცრუპენტელა

<https://edpuzzle.com/media/5fe63cc92cec7f421f822867> - დიდგორის ბრძოლა

<https://ant.umn.edu/twzlotnven/annotate> - სოფლის მაშენებლები

<https://www.thinglink.com/video/1327671534315110403> - კუ და მორიელი

<https://www.thinglink.com/scene/1320148013091389442> - სიყვარული

შემოდგომაზე

<https://www.thinglink.com/scene/1314237804644925443> - ყიყინა საფოსტო ყუთი

### §3. ანიმაციური ფილმი

ჩვენ ძალიან ბევრი ვისაუბრეთ იმაზე, თუ როგორ ელფერს სძენს გაკვეთილებს ონლაინპლატფორმებზე შექმნილი ინტერაქტიული თუ ანიმაციური ვიდეოპრეზენტაციები. მათი შექმნა კი შესაძლებელია სხვადასხვა ონლაინპლატფორმაზე, მათ შორის ერთ-ერთია **Renderforest**. ეს არის საპრეზენტაციო ონლაინპლატფორმა, მაგრამ მასზე ასევე შესაძლებელია ანიმაციური, შემეცნებითი ვიდეოს, ლოგოს, მულტფილმისა და ისტორიების შექმნაც. აქ მოკლე დროში

შესაძლებელია ხარისხიანი ვიდეოპრეზენტაციის შექმნა ძალიან საინტერესო შაბლონების გამოყენებით, მუსიკისა და სპეცეფექტების ჩართვით. შეგიძლიათ შექმნილი პროდუქტის გადმოწერა და კომპიუტერში შენახვა. რეალური საკითხის, თემის ანიმაციად შექმნა და წარმოდგენა დიდ შემოქმედებით უნარს მოითხოვს მასწავლებლისგან, მაგრამ აღნიშნული პლატფორმა სწორედ ამაში ეხმარება მას. ყველა ბავშვს უყვარს და ახალისებს ანიმაციური ფილმები, მოსწონს სათავგადასავლო ამბები, მათი შექმნა კი შესაძლებელია ამ პლატფორმაზე. თუ შესასწავლ მასალას აქცევთ ისეთ ანიმაციად, რომელიც მოსწავლეებს მოსწონთ და ასევე მათ დაანახებთ, რომ თქვენც ძალიან გსიამოვნებთ ანიმაციური ვიდეოები და მულტფილმები, მაშინვე მოიპოვებთ მოსწავლეთა ნდობას. მასწავლებლის მიზანიც ხომ ეს არის, რომ მოსწავლე დააინტერესოს და შთაბეჭდილება მოახდინოს მათზე მრავალფეროვანი მასალით. ანიმაციური ფილმებით ჩატარებული გაკვეთილების შემდეგ მოსწავლეები არიან შთაბეჭდილებების ქვეშ, უზიარებენ ერთმანეთს საკუთარ განცდებსა და ემოციებს. ეს კი საგრძნობლად ზრდის მათ მოტივაციას, რომ ისწავლონ და ჰქონდეთ მაღალი აკადემიური მოსწრება.

პლატფორმის გამოყენებით მასწავლებელს შესაძლებლობა ეძლევა ნებისმიერი რთული თემა წარმოადგინოს ანიმაციებით და გაახალისოს, რათა არ იყოს მოსაწყენი და რთულად გასაგები. მართალია მასწავლებელს გამზადებული რესურსი მიაქვს მოსწავლეებთან, მაგრამ მოსწავლეებსაც შეუძლიათ თავად მოამზადონ ანიმაციებით დატვირთული ვიდეოები. აღნიშნულ პლატფორმაზე მუშაობა მოსწავლეებს უვითარებს: შემოქმედებით უნარებს, დამოუკიდებელ აზროვნებას, კრიტიკულ ანალიზს, მსჯელობას, გააზრებას, ზეპირმეტყველებას, გუნდურობას, თანამშრომლობასა და სხვა.

ანიმაციური ვიდეო პრეზენტაციის შესაქმნელად სხვა პლატფორმებთან ერთად აუცილებლად უნდა განვიხილოთ **Canva**, ეს არის მსოფლიოში უმარტივესი დიზაინის ინსტრუმენტი, რომელიც საშუალებას გაძლევთ შექმნათ ყველაფერი და გამოაქვეყნოთ ყველგან. ამ გვერდზე თქვენ გექნებათ წვდომა რესურსებზე და შთაგონება იმისა, რომ შექმნათ საუკეთესო ინტერაქტიული პრეზენტაცია, ანიმაციური ფილმი, პოსტერი, ლოგო, ფლაიერი თუ სხვა. ეს არის

მრავლისმომცველი პლატფორმა, სადაც დახარისხებულია ყველა ის თემატიკა ცალკე-ცალკე, რომელზეც შესაძლებელია პრეზენტაციის შექმნა და სიღრმისეული განხილვა. აქვს ასევე სხვადასხვა მზა დიზაინები, რომელთა გამოყენებითაც შესაძლებელია ეფექტური, ლამაზი, და სახალისო პრეზენტაციებისა და ანიმაციური ფილმების შექმნა. ამ პლატფორმის შესაძლებლობები ამოუწურავია, იგი ბევრს რამეს გათავაზობთ, რომელთა გამოყენებითაც მასწავლებლის მომზადებული გაკვეთილი არ ჩაივლის უშედეგოდ.

მოსწავლეებს Canva უქმნის შესაძლებლობების ფართო სპექტრს, მისი მეშვეობით მოსწავლეებს შეუძლიათ წარმოაჩინონ საკუთარი შემოქმედებითი უნარები და დადონ ისეთი შედეგები, რომლებიც პასუხობს თანამედროვე გამოწვევებს განათლების სფეროში. როგორც მასწავლებელი ან მოსწავლე, კლასი მნიშვნელოვანი სივრცეა შემოქმედების, ზრდისა და სწავლის განვითარებისთვის. ამიტომ მნიშვნელოვანია ვიფიქროთ შთაგონების უნიკალურ გზებზე. ამ პლატფორმის მეშვეობით თქვენ გაეცნობით სწავლების შემოქმედებით სტრატეგიებს, შთამაგონებელ ციტატებს და რჩევებს. იქნება ეს კლასისთვის პლაკატის, პოსტერის, პრეზენტაციის თუ ფილმის შექმნა, თუ როგორ უნდა გაიზარდოს თქვენი პროდუქტიულობა სწავლის დროს. გაეცნობით მათი სწავლების მარტივ საშუალებებს, რომელთა გამოყენებაც შეგიძლიათ მომავალში.

მასწავლებლებსა და მოსწავლეებს მარტივ გზას სთავაზობს ანიმაციური პრეზენტაციის შესაქმნელად ონლაინპლატფორმა **Vyond**, რომელიც არის ანიმაციური პროგრამული უზრუნველყოფის საშუალება, მარტივად შექმნას პროფესიონალური ანიმაციური ვიდეოები. მას აქვს უამრავი ფუნქცია, რაც საშუალებას აძლევს მასწავლებელს ვიდეოების შექმნის მცირე უნარებით შექმნას ანიმაციური ვიდეოები. იგი გამოირჩევა პერსონაჟთა და ფონის ბიბლიოთეკით, რომელთა პერსონალურად მორგება შესაძლებელია ნებისმიერი კლასისა და საგნისთვის. სიმბოლოები, შაბლონები და აქტივები საშუალება გაძლევთ მიიღოთ მოძრაობის სრული დიაპაზონი.

პლატფორმა ანიმაციების გამოყენების მრავალ საშუალებას სთავაზობს მასწავლებელს, მათ შორის გამოირჩევა ორი გზა აუდიო და მის გარეშე. ანიმაციები

აუდიოთი სთავაზობს საგანმანათლებლო გამოცდილებას, ხოლო აუდიოს გარეშე ანიმაციები სტატიკური დიაგრამების შესანიშნავი შემცველები არიან. ეს არ ნიშნავს, რომ ყოველთვის უნდა გამოიყენოს ანიმაციები აუდიოთი. არის შემთხვევები, როდესაც ანიმაცია აუდიოს გარეშე უფრო ეფექტურია. თუ ანიმაციას გამოიყენებს მოძრაობის გრაფიკის საჩვენებლად ან ტექსტის კონცეფციის ილუსტრაციისათვის, კარგი იდეაა აუდიოს თავიდან აცილება. ეს საშუალებას აძლევს მოსწავლეებს ფოკუსირება მოახდინონ სურათსა და ტექსტზე და თავიდან აიცილონ გადატვირთვა. თუ თქვენ გაქვთ რთული საგანი ან კონცეფცია, გამოიყენეთ ანიმაცია აუდიოთი, რომ მოსწავლეს გაუმარტივდეს თემა და ყურადღება გაამახვილოს მასალაზე.

ანიმაცია მიმზიდველია, უფრო მეტიც, ვიდრე სტატიკური სურათები. ეფექტურმა ანიმაციამ შეიძლება აითვისოს თქვენი კლასი და დაინტერესოს გაკვეთილზე. უფრო ადვილია რთული თემების ახსნა ანიმაციის გამოყენებისას. მაგალითად, აბსტრაქტული ცნებების ასახსნელად შეიძლება იყოს უფრო ადვილი ტექსტი და ანიმაცია. ანიმაციები მასწავლებელს საშუალებას აძლევს გატეხოს მკვრივი თემატიკა მხიარული კლიპებით ან ანიმაციური დიაგრამების და გრაფიკების ჩართვით. ხანგრძლივმა გაკვეთილები ყოველთვის იწვევს კლასის დაღლას და გაკვეთილის მიმართ ინტერესის დაკარგვას, ანიმაციას კი შეუძლია შეასრულოს სწავლისას სუნთქვის როლი მათი დაინტერესებასა და გააქტიურებაში.

Vyond საშუალებას აძლევს ყველა დონის მოსწავლეს შექმნან დინამიური და ძლიერი ანიმაციური ვიდეოპრეზენტაციები, რომლებიც სცილდება მოძრავ ტექსტებს და სურათებს. შესაძლებელია მათ შექმნან პერსონაჟზე ორიენტირებული მოთხრობები ან მონაცემების დამაჯერებელი ვიზუალიზაცია, რაც კლასს შეუწყობს ხელს და მიაწვდის შედეგს.

საუკეთესო ონლაინპრეზენტაციისა და დიზაინის შექმნის შესაძლებლობას იძლევა პლატფორმა **Crello**. იგი არის უმარტივესი ონლაინგამოსახულების რედაქტორი, რომელიც საშუალებას აძლევს მასწავლებლებს და არამხოლოდ მათ შექმნან საკუთარი გრაფიკული დიზაინები, ანიმაციები, პოსტერები, გარეკანები და უამრავი სხვა რესურსი საკუთარი კლასისათვის, უკვე შექმნილი შაბლონებისა და ვიდეო/ფოტო შინაარსების უზარმაზარი კოლექციის გამოყენებით. შესაძლებელია

მასზე შექმნილი ნებისმიერი პრეზენტაციისა და ანიმაციის გაზიარება სხვებისათვის, ასევე გუნდის შექმნაც.

Crello უფრო ხელმისაწვდომს ხდის დიზაინს მათთვის, ვინც ასწავლის ან სწავლობს, ეხმარება ცოდნის მიღებასა და გაღრმავებაში. მოსწავლეებს შეუძლიათ ერთად იმუშაონ დიზაინებზე, რადგან შესაძლებელია მათი ერთ ანგარიშში გაერთიანება და წვდომა გუნდების დიზაინზე. შაბლონების საშუალებით, მოსწავლეებს შეუძლიათ შექმნან ფერადი და ლამაზი დიზაინები ინტერნეტით სხვადასხვა ფორმატში და ნამდვილად ისიამოვნონ ამ პროცესით, რადგან პლატფორმის გამოყენება ძალიან მარტივია. შემოქმედების საშუალებით მათ შეუძლიათ გამოხატონ თავიანთი გრძნობები, პლატფორმის მეშვეობით კი შექმნან დიზაინები ძლიერი შეტყობინებებით.

პლატფორმის დახმარებით, მასწავლებლებს შეუძლიათ ადვილად ჩართონ მოსწავლეები შემოქმედებით კონკურსებში, გამოწვევებსა და დიზაინთან დაკავშირებულ თამაშებში, რომლებიც მათ უღრმავებთ ცოდნასა და გამოცდილებას.

**ჩემ მიერ შექმნილი რესურსები:**

<https://www.renderforest.com/profile/my-files> - წიქარა

<https://www.canva.com/folder/all-designs> - თაგვები და კატა

#### §4. კომიქსის შექმნა

ჩვენ განვიხილეთ, თუ რამდენად მნიშვნელოვანი როლი უკავია სხვადასხვა სახით წარმოდგენილ პრეზენტაციას საგაკვეთილო პროცესში. დღესდღეობით ერთ-ერთი მათგანია კომიქსებად წარმოდგენილი პრეზენტაციები, რომლებიც დიდი პოპულარობით სარგებლობს ყველა სფეროში, განსაკუთრებით კი საგანმანათლებლო სფეროშია ეფექტური. იგი მოსწავლეებში ავითარებს შემეცნებით, შემოქმედებით, კოგნიტურ უნარებს. მისი გამოყენება გაცილებით ეფექტურია დაწყებით საფეხურზე, ვინაიდან ბავშვები დიდი მონდომებითა და ხალისით

სწავლობენ ისეთ გაკვეთილებს, რომლებიც დასურათებულია და წარმოდგენილია კომიქსებად. მათი გამოყენებით უადვილდებათ თემის სიღრმისეული წვდომა და გააზრება.

შემოქმედებითობა თქვენი მოსწავლეების წარმატების ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორია. მოსწავლეებს უნდა ჰქონდეთ პლატფორმა, რომ შემოქმედებითები იყვნენ (ფიზიკური მასალები, ონლაინპროგრამები, სცენა და ა.შ.); სწორედ პლატფორმა Powtoon დაგეხმარებათ ეს შემოქმედებითობა აანთოთ მოსწავლეებში.

**Powton** მასწავლებლისთვის ყველაზე მოსახერხებელი და ინტუიციური ანიმაციური პროგრამაა. მისი საშუალებით მასწავლებელს ნებისმიერი სერვერისგან შეუძლია შექმნას მიმზიდველი, ანიმაციური ვიდეოპრეზენტაცია პროფესიონალური იერითა და შეგრძნებებით. პლატფორმაზე შესაძლებელია მიმზიდველი კომიქსებიანი პრეზენტაციების მომზადება. მასზე განთავსებულია მზა ანიმაციები და დიზაინები, გვთავაზობს შაბლონების ბიბლიოთეკას, შესაძლებელია სლაიდებზე ხმოვანი კომენტარების გაკეთება და ვიდეოს იმპორტი, რომლის გამოყენებითაც მასწავლებელს შეუძლია უამრავი სახალისო პრეზენტაციისა და კომიქსის შექმნა. პლატფორმა საშუალებას იძლევა მასწავლებელმა შექმნას შემოქმედებითი პრეზენტაციები, გააცოცხლოს პერსონაჟები და ამით მიიპყროს მოსწავლეთა ინტერესი და ყურადღება. მოსწავლე ემოციურად აღიქვამს თითოეული გმირის გრძნობას და ცდილობს მოირგოს მოქმედი პერსონაჟის როლი, რაც დაეხმარება დასკვნა გააკეთოს თუ როგორი გრძნობა, ემოციაა უკეთესი.

საგანმანათლებლო თვალსაზრისით იგი განსაკუთრებით ეფექტურია დისტანციური სწავლებისას, როცა მოსწავლეებს სთავაზობთ პრეზენტაციის მომზადებას ანიმაციური როლების გამოყენებით.

მარტივად გამოსაყენებელი და მოქნილი საპრეზენტაციო ონლაინპლატფორმაა **Storyboard**, მისი მეშვეობით შესაძლებელია უამრავი საინტერესო რესურსის შექმნა, მათ შორის გამორჩეულია კომიქსი. შემოთავაზებული პლატფორმა საშუალებას იძლევა შექმნათ პრეზენტაცია ნებისმიერი დარგში. პლატფორმაზე განლაგებულია

უამრავი მზა დიზაინი, სქემები, თემები, დაფები, რომელთა გამოყენებითაც მიმზიდველი პრეზენტაციის მომზადებაა შესაძლებელი.

პლატფორმა მასწავლებელს სთავაზობს მცირე დროში შექმნას მოსწავლეთათვის საჭირო და აუცილებელი პრეზენტაცია კომიქსის სახით, რომელიც მოსწავლეებს ძალიან მოსწონთ და ახალისებთ, უვითარებთ შემოქმედებითობას ციფრული თხრობის საშუალებით ასევე ამ პროცესში ჩართულობით ადფრთოვანებულნი იქნებიან. პლატფორმის მირ შემოთავაზებული შაბლონები, სცენები, განლაგებები და მრავალნაირ პერსონაჟთა არჩევანი მოსწავლეებს უმარტივებს საკითხის გაგებას.

შემოთავაზებული პლატფორმა მასწავლებლებს სთავაზობს უამრავ სახალისო გზას იმისათვის, რომ მოსწავლეებს გააცნოს სხვადასხვა მითოლოგიური პერსონაჟები, ცნობილი ადამიანები, ლიტერატურის ჟანრები, ინოვაციები, კვლევითი პროექტები, ბიოგრაფიული ინფორმაციები და ა.შ. პლატფორმაზე შექმნილი სახალისო და საინტერესო კომიქსის გამოყენება მასწავლებელს შეუძლია ახალი თემის ახსნისას, რაც მოსწავლეებს შთაბეჭდილებების ქვეშ დატოვებს. კომიქსის სახით წარმოდგენილი პრეზენტაცია მოსწავლეებს ეხმარება თვალყური ადევნო თხრობის მთავარ იდეებსა და დამხმარე დეტალებს, რომლითაც ისინი ილუსტრირებენ მოთხრობის მნიშვნელოვან სცენებს. Storyboard-ის გამოყენება შესაძლებელია ტექსტების ხმამაღლა კითხვისას ან მოსწავლეთა დამოუკიდებელი კითხვის დროს.

პლატფორმის მთავარ ღირსებად შეიძლება ჩავთვალოთ მისი როლი საგაკვეთილო პროცესში, ვინაიდან კომიქსის შექმნა მოსწავლეებს ყველაზე დიდ სიამოვნებას ანიჭებთ, ხალისითა და მონდომებით ქმნიან მას. თითქოს თავად არიან ყველა სცენის მონაწილენი და თავად განიცდიან პერსონაჟთა გრძნობებსა და ემოციებს. ეს კი მათ ეხმარება თემის საკვანძო დეტალებზე სიღრმისეულად წვდომაში, ამასთანავე გაკვეთილებსაც უფრო შემოქმედებითად აღიქვამენ. კომიქსების დროს მოსწავლეები ერთდროულად ამუშავებენ ტექსტსა და გამოსახულებას.

თავისი შესაძლებლობებით გამორჩეული საპრეზენტაციო ონლაინპლატფორმაა **Pixton**, რომელიც არის ყველაზე მძლავრი, ადვილად გამოსაყენებელი, პოპულარული

პლატფორმა კომიქსებისა და სცენების შესაქმნელად პედაგოგთა და მოსწავლეთათვის. იგი სასარგებლო და მოქნილია სწავლის დემონსტრირებისთვის და კომიკური ფორმატი ემსახურება მოსწავლეების აზროვნების უნარების ჩამოყალიბებას. თითოეული შინაარსის პაკეტში ნაჩვენებია კომიქსების მრავალფეროვნება შესანიშნავი გაკვეთილების შესაქმნელად.

მასზე განთავსებული მზა დიზაინები, შაბლონები და პერსონაჟები ეხმარება მოსწავლეებს შექმნან მიმზიდველი, საინტერესო და ვიზუალურად ეფექტური კომიქსი და გაუზიარონ კლასს. პლატფორმაზე განთავსებული შინაარსის პაკეტები ეხება საგნებს, მათემატიკას, ისტორიას, მეცნიერებას და სხვა. თავად კომიქსზე მუშაობა და მისი შექმნა ყველაზე დიდ სიამოვნებას ანიჭებს მოსწავლეებს და უზრდის მოტივაციას სწავლისადმი.

Pixton კომიქსებისა და გრაფიკული ხელოვნების გამოყენება ხელს შეუწყობს მოსწავლეებს ხელოვნების უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, შემოქმედებითობას და დაეხმარება კრიტიკულად იფიქრონ თანმიმდევრობის, კონტექსტისა და სიუჟეტების სტრუქტურაზე. შემოქმედებითი, ხელოვნების უნარის მქონე მოსწავლეთათვის. პლატფორმას შეუძლია შეცვალოს წიგნიერების თვალსაზრისი და კიდევ უფრო მეტი ჩართულობა გამოიწვიოს სკოლაში. იგი მარტივი გამოსაყენებელია პროექტებისთვის, მაგრამ ასევე შეიცავს მოწინავე თვისებებს მათთვის, ვინც უფრო მეტს ეძებს.

პლატფორმის გამოყენება მასწავლებელს შეუძლია თხრობის ეტაპზე ყველაზე ეფექტურად. ამბები მოთხრობილი კომიქსებითა და გრაფიკული გამოსახულებით დიდი ეფექტის მომხდენია მოსწავლეებზე. მოსწავლეები დიალოგის საშუალებით სიამოვნებით იღებენ ფონს, პერსონაჟებსა და განლაგებებს, რომ იყვნენ შემოქმედებითნი. მასწავლებლებს შეუძლიათ პლატფორმაზე შექმნან კლასი, რომლის მეშვეობითაც ნახავენ და გააკონტროლებენ მოსწავლეთა მიერ შესრულებულ ყველა კომიქსსა და სამუშაოს.

**ჩემ მიერ შექმნილი რესურსი:**

<https://www.powtoon.com/w/cf335XDa45P/1/m->



## §5. კვლევა - მონაცემთა ანალიზი

დღეისათვის საგანმანათლებლო სივრცეში პრეზენტაციას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან იგი სასწავლო პროცესის თანმდევი, დამხმარე და ზოგ შემთხვევაში, წარმმართველი პრინციპიც კი გახლავთ. გრძობათა ორგანოების ჩართვით მოსწავლეს უადვილდება ახალი ცნებების, კონტექსტების აღქმა და დამახსოვრება, ზრდის მის ეფექტიანობას. სწორედ ამ მოთხოვნიდან გამომდინარე გადავწყვიტე საკვლევ თემად ამერჩია: ინტერაქტიული პრეზენტაცია, როგორც სასწავლო მეთოდი.

საკვლევი თემის აქტუალობის დასადგენად გამოკითხვა ვაწარმოე, როგორც მოქმედ პედაგოგებთან ასევე სკოლის მოსწავლეებთან. ჩემთვის საინტერესო იყო, გამეგო, მასწავლებლები სასწავლო პროცესში იყენებენ თუ არა ინტერაქტიულ პრეზენტაციას, რამდენად ხშირად, რომელ საპრეზენტაციო პროგრამებს იცნობენ და მათი გამოყენებით რა შედეგებზე გადიან. მოსწავლეებში კი - მოსწონთ თუ არა პრეზენტაციის მომზადება, როგორ უმარტივდებათ მისი გამოყენებით სწავლა და მისაღებია თუ არა მათთვის პრეზენტაციის მეშვეობით მიღებული შეფასებები.

### **გთავაზობთ მასწავლებლებისთვის განკუთვნილ კითხვარსა და ანალიზს:**

1. რამდენად ხელმისაწვდომია თქვენთვის საპრეზენტაციო პროგრამები?
2. სასწავლო პროცესში რომელი საპრეზენტაციო პროგრამებით სარგებლობთ და რამდენად კარგად ფლობთ?
3. რამდენად ეფექტურია პრეზენტაციის გამოყენება სწავლებისას?
  - აღნიშნულ კითხვაზე მასწავლებელთა უმეტესი ნაწილი ფიქრობს, რომ პრეზენტაციის გამოყენება სწავლებისას ძალიან ეფექტურია. სასწავლო პროცესს უფრო საინტერესოს და სახალისოს ხდის, მოსწავლეებს ეხმარება სასწავლო მასალის ვიზუალიზაციაში, სიღრმისეულ წვდომაში, მსჯელობაში, გაგებასა და დამახსოვრებაში, ასევე თემის შეჯამებაში. ხელს უწყობს მოსწავლეთა გონებრივ განვითარებას, კრიტიკულ აზროვნებას, ლიდერული უნარების ჩამოყალიბებას,

აჩვენებს სწორ მეტყველებასა და აზრის გადმოცემას, უმაღლესს მოტივაციას, უვითარებს ტექნოლოგიებთან მუშაობისა და პრეზენტაციის უნარებს.

4. რამდენადაა შესაძლებელი ინტერაქტიული პრეზენტაციით მოსწავლეთა შესაძლებლობების დადგენა?

-მიღებული პასუხების შედეგად აზრი ორად იყოფა, მასწავლებელთა ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ ინტერაქტიული პრეზენტაციით შესაძლებელია მოსწავლეთა შესაძლებლობების დადგენა, რადგან მოსწავლეები სრულყოფილად არიან ჩართული საგაკვეთილო პროცესში და ცდილობენ თავიანთი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენას. დიდი ინტერესით მუშაობენ საპრეზენტაციო თემებზე, მოტივაციაც მაღალი აქვთ, რაც მასწავლებელს აძლევს საშუალებას დაადგინოს მოსწავლეთა შესაძლებლობები. მასწავლებელთა მეორე ნაწილი კი ფიქრობს, რომ ინტერაქტიული პრეზენტაციით ნაკლებადაა შესაძლებელი მოსწავლეთა შესაძლებლობების დადგენა. ვინაიდან ყველა მოსწავლე ვერ ფლობს იმ უნარებს, რომლებიც საჭიროა პრეზენტაციის შესაქმნელად. მიუხედავად ამისა მასწავლებელთა უმეტეს ნაწილს მიაჩნია, რომ ინტერაქტიული პრეზენტაციით შესაძლებელია მოსწავლეთა შესაძლებლობების დადგენა.

#### **გთავაზობთ მოსწავლეებისთვის განკუთვნილ კითხვარს**

1. რამდენად მოგწონთ პრეზენტაციის შექმნა?
2. რამდენად მარტივია საპრეზენტაციო პროგრამებით მოწოდებული დავალების შესრულება?
3. რომელ საგნებში იყენებთ პრეზენტაციას და რა სიხშირით?
4. თქვენთვის რომელი საპრეზენტაციო პროგრამებია ცნობილი და როგორ ფლობთ?
5. რამდენად მისაღებია თქვენთვის ონლაინპროგრამებით წარმოდგენილი შეფასება?

## წარმოდგენილი კვლევის ანალიზი

გამოკითხვაში 188 მასწავლებელი და 52 მოსწავლე ღებულობდა მონაწილეობას. კვლევა წარმოებდა **Google Forms** პლატფორმით. გამოყენებული იყო ღია და დახურული ტიპის კითხვები. გამოკითხულ მასწავლებელთა უმეტესი ნაწილისათვის საპრეზენტაციო პროგრამები ხელმისაწვდომია და თავისუფლად **ფლობენ (139%)**, მეტნაკლებად ფლობს და იშვიათად იყენებს (39%). მიღებული პასუხების შედეგად გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში საპრეზენტაციო პროგრამა **Power Point** ძალიან კარგად იყენებს (65,9%), ხოლო საშუალოდ **Google Presentation** (44,8%). სასწავლო პროცესში პრეზენტაციის გამოყენების ეფექტურობაზე დადებითად საუბრობს გამოკითხულ პედაგოგთა უმეტესი ნაწილი (179). მათი აზრით, პრეზენტაციის გამოყენება სასწავლო პროცესში ძალიან ეფექტურია, ხელს უწყობს მასალის თანმიმდევრულად და თვალსაჩინოდ წარმოდგენას, მოსწავლეთა მეტად დაინტერესებას და ჩართულობას საგაკვეთილო პროცესში, ზრდის მოტივაციას. იძლევა ნებისმიერი ფორმატის მასალის გათვალსაჩინოებას, ეს იქნება ტექსტური, გრაფიკული, აუდიო თუ ვიდეო ფორმატი. შესაძლებელია პრეზენტაციაში ყველა საჭირო ელ. რესურსის ჩაშენება შესაძლებელი, რაც მათ უზოგავთ დროს, თავიდან აცილებთ მოულოდნელ ხარვეზებს გაკვეთილზე, ამასთანავე მოსწავლეთათვის საინტერესო და სახალისოა. ინტერაქტიული პრეზენტაციით მოსწავლეთა შესაძლებლობების დადგენაზე ისაუბრა (168) პედაგოგმა. მიღებულ პასუხებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ პედაგოგთა ნაწილისათვის შესაძლებელია ინტერაქტიული პრეზენტაციით მოსწავლეთა შესაძლებლობების დადგენა, რადგან მისი მეშვეობით იკვეთება მოსწავლეთა განვითარების დონე, მოსწავლე ცდილობს საკუთარი შესაძლებლობების უკეთესად წარმოჩენას, უმტკიცებს რწმენას. მოსწავლეს სურვილი უჩნდება სასწავლო პროცესში მეტად ჩართულობის, შესაბამისად მასწავლებელი უფრო მეტად აკვირდება და მარტივად განსაზღვრავს მის ძლიერ მხარესა და საჭიროებებს. პედაგოგთა ნაწილისათვის კი მეტნაკლებადაა შესაძლებელი ინტელექტუალური პრეზენტაციით მოსწავლეთა შესაძლებლობების დადგენა.

გამოკითხულ მოსწავლეთა უმეტეს ნაწილს ძალიან მოსწონს პრეზენტაციის შექმნა (60%), ხოლო მეტნაკლებად მოსწონს (37%). საპრეზენტაციო პროგრამებით

მიწოდებული დავალების შესრულება ძალიან უმარტივდება (87%). მოსწავლეები პრეზენტაციას ხშირად იყენებენ უცხო ენაში (44,1%), ხოლო ქართულ ენაში (38,3%). მათთვის მეტად ცნობილია და კარგად ფლობენ საპრეზენტაციო პროგრამა **Power Point** (59,6%), შედარებით ნაკლებად **Google Presentation** (41,4%). მოსწავლეთათვის ონლაინპროგრამებით მიღებული შეფასება მეტნაკლებად მისაღებია (50%).

კვლევაზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ პრეზენტაციის გამოყენებას სასწავლო პროცესში მნიშვნელოვანი როლი ეკისრება, ვინაიდან მისი წყალობით პედაგოგები აღწევენ დასახულ შედეგებს, ხოლო მოსწავლეები იძენენ სხვადასხვა მნიშვნელოვან უნარს.

### დასკვნები და რეკომენდაციები

- სასწავლო პროცესის დაგეგმვა უამრავ მნიშვნელოვან კომპონენტს მოიცავს, მათ შორის ერთ-ერთი გამორჩეულია სასწავლო რესურსები და მეთოდები. იმისათვის, რომ მოსწავლე უფრო მეტად დაინტერესდეს გაკვეთილით, იგი უნდა იყოს სახალისო, აქტიური და მრავალფეროვანი. ამდენად მასწავლებელს სჭირდება უამრავი რესურსი, თვალსაჩინოება (პრეზენტაცია, პოსტერი, ვიდეო, ფოტო და სხვა), რათა მოსწავლეს ამომწურავად და გასაგებად მიაწოდოს ინფორმაცია.
- საგაკვეთილო პროცესში პრეზენტაციის გამოყენება, როგორც სასწავლო მეთოდის, მოსწავლეებს უყალიბებს და უვითარებს იმ უნარებსა და კომპეტენციებს, რომლებსაც 21-ე საუკუნის უნარებს უწოდებენ: ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება, საკუთარი აზრის გადმოცემა, მსჯელობა, კრიტიკული აზროვნება, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, დროის მენეჯმენტი, გამომგონებლობა, მოქნილობა, სისხარტე, თანამშრომლობა და ა.შ.

- ინტერაქტიული პრეზენტაციების აქტიური გამოყენება საგაკვეთილო პროცესში, მოსწავლეთა მოტივირება, დაინტერესება და ჩართულობა არის მათი აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების ერთ-ერთი წინაპირობა.
- სწავლების სხვადასხვა ეტაპზე აუცილებელია მასწავლებელი გასცდეს სახელმძღვანელოს ჩარჩოებს. რეალურად უამრავი მასწავლებელი ქმნის სასწავლო რესურსს, ეს იქნება პრეზენტაცია, ვიდეოანიმაცია, კომიქსი, პოსტერი თუ ფოტო, რომელიც შეიძლება მასწავლებელს დასჭირდეს სწავლების ამა თუ იმ ეტაპზე.
- მასწავლებელს შეუძლია მის მიერ შექმნილი პრეზენტაციის კონტექსტუალიზაცია და სხვადასხვა მოთხოვნის შესაბამისად თემაზე ან კონკრეტულ ჯგუფზე მორგება, რომელიც ემსახურება სახელმძღვანელოს გამდიდრებას. ეს არ იქნება იზოლირებული, სასწავლო კურსისა და სახელმძღვანელოსაგან ცალკე მდგომი მასალა.
- მასწავლებლის მიერ შექმნილი პრეზენტაციის გამოყენება საგაკვეთილო პროცესში ეფექტური იქნება მაშინ, როცა იგი გაკვეთილის მიზანთან იქნება შესაბამისობაში.
- მასწავლებლის მიერ შექმნილი პრეზენტაცია უნდა ითვალისწინებდეს მოსწავლეთა ცხოვრებისეულ თუ სასკოლო გამოცდილებას. მან უნდა დააინტერესოს მოსწავლე იმდენად, რომ მიწოდებულ თემაზე უფრო მეტი ინფორმაციის მოძიების სურვილი გაუჩნდეს. პრეზენტაციამ, უნდა წაახალისოს მოსწავლეები ჩაუღრმავდნენ საკითხს, გაანალიზონ, შეხედონ სხვადასხვა კუთხიდან, დაადგინონ კანონზომიერებები.
- მნიშვნელოვანია, რომ პრეზენტაციის მომზადებისას მასწავლებელმა გაითვალისწინოს მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები და ინდივიდუალური შესაძლებლობები. პრეზენტაცია არ უნდა იყოს ორიენტირებული მოსწავლეების რომელიმე ერთი უნარის განვითარებაზე, არამედ იძლეოდეს უნარების კომპლექსურად განვითარების საშუალებას.
- კარგად მომზადებულმა პრეზენტაციამ უნდა უზიძგოს მოსწავლეებს, გამოიყენონ თავიანთი შესაძლებლობების მაქსიმუმი, რათა შემდგომ თავად შეძლონ

დამოუკიდებლად საკუთარ თავისებურებებზე მორგებული ეფექტიანი პრეზენტაციის მომზადება.

- იმისათვის, რომ გაარკვიოთ, რამდენად ეფექტიანი იქნება პრეზენტაციის გამოყენება სასწავლო პროცესში, აუცილებელია დაადგინოთ მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. ამის დადგენა მასწავლებელს აძლევს საშუალებას, წინასწარ განვჭვრიტოს, რის გაკეთება შეიძლება იმისათვის, რომ უარყოფითი მხარეები მაქსიმალურად შეამციროს.
- ელექტრონული სწავლება არის საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და ინტერნეტის გამოყენება სასწავლო პროცესში და ამასთანავე, დამხმარე ინსტრუმენტი იმისათვის, რომ შევავსოს ტრადიციული სწავლება (და არა ჩაანაცვლოს). ელექტრონული სწავლების კომპონენტების დანერგვა სწავლებაში მიზნად ისახავს მოსწავლეთა/სტუდენტთა სასწავლო შემეცნებითი მოტივაციის ამაღლებასა და ჩართულობის ხარისხის გაზრდას სწავლებაში.
- პრეზენტაციის, ვიდეოს, აუდიოჩანაწერის, აუდიოწიგნის, ანიმაციის გამოყენება მოსწავლეებს ეხმარება მასალის უკეთ ათვისებაში, ლოგიკური მსჯელობის განვითარებაში, სივრცით-ვიზუალური აღქმის განვითარებაში.
- პრეზენტაციის მომზადების პროცესში მასწავლებლები და მოსწავლეებიც ხშირად მიმართავენ ინტერნეტში მოპოვებულ ინფორმაციებს, რომელთა სანდოობის დადგენა მნელია, თუმცა არსებობს ხერხები, რომ დაადგინოთ რანდენად სანდოა თქვენ მიერ მოძიებული ინფორმაცია.
- მასწავლებლის მიერ შექმნილი პრეზენტაცია მიზნად უნდა ისახავდეს მოსწავლეთათვის იყოს ეფექტური, მრავლისმთქმელი, შინაარსიანი. პრეზენტაციამ, უპირველეს ყოვლისა უნდა უპასუხოს შეკითხვას: რა ეფექტი აქვს ყოველივე იმას, რასაც აუდიტორიას ვთავაზობთ, უშუალოდ მოსწავლეებისათვის? რამდენად უწყობს ხელს სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას?
- სწავლა-სწავლების პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს პრეზენტაციაში წარმოდგენილი გრაფიკული ორგანიზატორების გამოყენებას, ვინაიდან გრაფიკული ორგანიზატორებით მუშაობა მოსწავლეებს მნიშვნელოვანი ინფორმაციის აღქმაში ეხმარება.

- ინტერნეტში ხელმისაწვდომ ისეთ სასწავლო რესურსებს შორის, როგორცაა: ვიდეოგაკვეთილები, ანიმაციები, ბლოგები და სხვა, სულ უფრო მეტ პოპულარობას იძენს ინტერაქტიული პრეზენტაციები.
- ინტერაქტიული პრეზენტაცია, როგორც სწავლა-სწავლების ეფექტური საშუალება დღითიდღე პოპულარული ხდება. იგი სწავლა-სწავლების უნივერსალური, ეფექტური საშუალებაა, ყველა პედაგოგი აცნობიერებს, რომ თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის ინტერაქტიული პრეზენტაციებიც აუცილებელია ჩართული იქნას სასწავლო პროცესში, რომელიც უზრუნველყოფს ეფექტიან სწავლებას.
- სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიების დანერგვის მიმართულებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება სკოლებისა და მასწავლებლების აქტიურობასა და ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებას, იქედან გამომდინარე, რომ სკოლებში ტექნოლოგიების წვდომის განსხვავებული სურათია, დიდი მნიშვნელობა აქვს იმას თუ მასწავლებელი, როგორ განსაზღვრავს გაკვეთილის სცენარში ტექნოლოგიების ჩართვის სქემას, მან კარგად უნდა დაუკავშიროს ერთმანეთს საკლასო მენეჯმენტი მის მიერ არჩეულ სასწავლო მეთოდს.
- შეფასების პროცესის ავტომატიზაცია მოიცავს მოსწავლის შეფასებას სტანდარტული ტესტური დავალების გამოყენებით. ინტერაქტიული პრეზენტაციები კი მასწავლებლებს საშუალებას აძლევს მრავალფეროვანი დავალებების შექმნის, რითაც შეძლებენ მოსწავლეთა შეფასებას სხვადასხვა კუთხით.
- პედაგოგები აცნობიერებენ, რომ აუცილებელია ტექნოლოგიების გამოყენება გაკვეთილზე, რადგან ის უზრუნველყოფს მოსწავლეებში სწავლისადმი ინტერესის ამაღლებას, კრიტიკული, შემოქმედებითი უნარის განვითარებასა და საკუთარი აზრის დაფიქსირებას. ამიტომ აუცილებელია ყველა სკოლას ჰქონდეს ინტერნეტთან წვდომა.
- მნიშვნელოვანია ყველა სკოლაში მოხდეს ინტერნეტიზაცია და სათანადო ტექნიკით აღჭურვა, რაც დაკავშირებული იქნება საგანმანათლებლო საკითხთან.

აუცილებელია სწავლა-სწავლების პროცესში ისტ-ის გამოყენება, ვინაიდან თანამედროვე საგაკვეთილო პროცესი არ არსებობს ისტ-ისგან დამოუკიდებლად.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. „ციფრული ინსტრუმენტები სწავლების ხარისხის ამაღლებისთვის,“- ხათუნა ხალვაში. გამომცემლობა „უნივერსალი,, თბილისი 2020;
2. „ინტერაქტიული მეთოდები,, - მასწავლებლის ბიბლიოთეკა თბილისი 2013.
3. Создание интерактивных презентаций Копылова Татьяна Владимировна
4. Господинова Д.Г., Трифонова М.Д. ИНТЕРАКТИВНЫЕ ПРЕЗЕНТАЦИИ – СРЕДСТВО СОЗДАНИЯ ТЕСТОВ В СОВРЕМЕННОЙ ОБРАЗОВАТЕЛЬНОЙ СРЕДЕ // Успехи современного естествознания. – 2011. – № 8.
5. Иванов И. Интерактивные презентации // Обучение. - 2010.